# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 8 აპრილი 2008 №078 (3302) ფასი 50 თეთრი



## ნაბიჯი ფინალამდე

## დინამო VS ზესტაფონი

**დღეს: დავით ყიფიანის თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი**

**თბილისი. „ეროვნული“. 16 საათი**



ყველაზე სკანდალური ეპიზოდი „ზესტაფონისა“ და „დინამოს“ დაპირისპირებათა ისტორიაში: საქართველოს თასის შარშანწინდელ მეოთხედფინალში თბილისელი სანდრო იაშვილის ეს გოლი, დინამოელთა აზრით, უსამართლოდ არ ჩათვალეს და ნახევარფინალშიც ზესტაფონელები გავიდნენ

## ყველანი ვიქცეთ უნგრელ ბარმენებად!

**ინტერვიუ სფფ-ის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან**

## ხვალინდელ სარბიელში მარსელ დესაის ქართველები და საქართველო

– კარგად ვერ ვიხსენებ, რომელი იყო, მაგრამ მახსოვს, რომ „ჩელსიში“ ქართველი ფეხბურთელი გვყავდა.

– მალდინის წასვლის მერე კალაძე გახდება „მილანის“ დაცვის ლიდერი.

– საფრანგეთი – საქართველო ვნახე, მაგრამ იმ შეხვედრით ძნელია, გუნდზე შთაბეჭდილება შეგექმნას.

– საქველმოქმედო ფონდს ვხელმძღვანელობ, რომელიც საქართველოშიც იწყებს პროექტს.

**გაზო სვანიძის ინტერვიუ საფრანგეთის ნაკრების ძველ კაპიტანთან**

## ეს არის ცხოვრება...

**იყო დრო, კლოდ სორელი და საქართველო რუსეთს უგებდნენ. ახლა საქართველომ კლოდ სორელს და რუსეთს უნდა მოუგოს!**



— რუსეთი თავის თავს უნდა გადაახტეს, რომ საქართველოს მოუგოს;
— ეს იქნება ერთა თასზე ყველაზე პრინციპული და საინტერესო მატჩი;
— საქართველოსთან მატჩისთვის ექვსი ახალბედა მორკინალი გამოვიძახე, რომლებისთვისაც საქართველოს ნაკრები ავტორიტეტია და, ცოტა არ იყოს, მორიდებით უყურებენ;
— ფავორიტი საქართველოა, რადგან მსოფლიოს თასზე მაგრად ითამაშა;
— ჩემი გულიდან საქართველოს ვერავინ ამოშლის.



ქირავდება

საოფისე ფართები რუსთაველზე
I ბინა 86 მ² - 800$
II ბინა 99 მ² - 900$

საოფისე ფართი თავისუფლების მოედანთან
75 მ² (ევრო რემონტით) - 800$

მობ. 895 22 91 22

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

## ნახევარფინალი. პირველი მატჩი. დღეს



ზესტაფონელი ჟონატას ტორესი და თბილისელი დავით დოლმელაშვილი

# დადგა დრო...

## პრინციპულობა და თასის პრინციპი: ვინ გაიტანს თავს?

თბილისი. 8 აპრილი. 16 საათი. ეროვნული

## დინამო — ზესტაფონი

მსაჯები: ლ. სილაგავა, ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი, ლ. კვარაცხელია

**საქართველოს** თასის გათამაშებამ ნახევარფინალს უწია და დღეს „ეროვნულზე“ პირველ ნახევარფინალურ შეხვედრას გამართავენ თბილისის „დინამო“ და „ზესტაფონი“.

ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ჩემპიონატსა და თასზე ისინი თერთმეტჯერ შეხვედრიან ერთმანეთს — დინამოელებმა 3-ჯერ იმარჯვეს, 4-ჯერ ფრეს მიაღწიეს, 4-ში კი დამარცხდნენ. ანუ ურთიერთშეხვედრებში „ზესტაფონს“ აქვს დადებითი ბალანსი, რაც, ცხადია, თბილისელებს სულაც არ ეპიტნავებათ.

„ზესტაფონი“ კი ზედიზედ მეოთხედ მიიწევს ფინალისკენ. წინა სამ გათამაშებაში იმერლები სწორედ ფინალში დამარცხდნენ — პირველად თასი „ლოკომოტივმა“ აარცალა ცხვირწინ, ბოლო ორ ფინალში კი „ამერმა“ დატოვა ხელცარიელი.

თემურ მახარაძის გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლას ალბათ ვეღარ შეძლებს და მათი მთავარი სამიზნე თასი უნდა იყოს.

თავის მხრივ, დუბლის შესრულება ამოუჭრია გულში დუშან უჰრინის სამწყსოს, რომელსაც სხვა არაფრის გაგონება სურს.

„დინამოს“ ჩეხმა თავკაცმა *დუშან უჰრინმა* მომავალ თამაშზე გუშინ ეს გვითხრა: „ძალიან რთული მატჩი იქნება. „ზესტაფონი“ საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესოა. ჩემი გუნდი გამარჯვების მისაღწევად თავს არ დაზოგავს. საერთოდ „დინამოს“ მნიშვნელოვანი თამაშების სერია ეწყება: სათასო მატჩები „ზესტაფონთან“, ჩემპიონატში კი „ამერთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“. ყველა აღნიშნულ შეხვედრაში მაქსიმალურად კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ და მხოლოდ მოგებაზე ვითამაშოთ...

...საბედნიეროდ, სერიოზული ტრავმა არც ერთ ფეხბურთელს არ აწუხებს და „ზესტაფონთან“ მატჩისთვის ყველა სერიოზულად ემზადება“.

მცირე კომენტარი ვთხოვეთ ზესტაფონელთა გოლეადორ *ზურაბ იონანიძესაც*: „დინამოსთან“ თამაში ყოველთვის საინტერესოა — ჩვენ ხომ პრინციპული მეტოქეები ვართ. თბილისში მოსაგებად ჩამოვედით, თუმცა ფრეზეც არ ვიტყვით უარს. კარგი იქნება, თუ გოლს გავიტანთ... ზედიზედ სამჯერ ვიყავით ფინალში და მეოთხედაც უნდა გავიდეთ — დადგა დრო, თასი მოვიგოთ!“

ერთიც: დღევანდელ „დინამო“ — „ზესტაფონსაც“ და ხვალინდელ „ამერი“ — „ბორჯომსაც“ ტელეკომპანია „მზე“ პირდაპირ ეთერში გადასცემს.

**ნუკრი ლოლაძე**

# ბეგლარიშვილი მაისიდან ნამდვილი აიაქსელია



**17 წლის** ზაქარია ბეგლარიშვილი მაისში პროფესიულ კონტრაქტს გააფორმებს ამსტერდამის „აიაქსთან“ და ევროპის ერთ-ერთი გრანდის 19-წლამდელთა გუნდში ითამაშებს. მაისში იმიტომ, რომ ბეგლარიშვილი სწორედ მაშინ ხდება 18 წლის. იგი უკვე იყო ჩასული „აიაქსში“ და კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მწვრთნელებზე.

ბეგლარიშვილი პირველად შარშანწინ, 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გაიცნო ქართველმა გულშემატკივარმა — ის ჰერბერტ ცანკერის გუნდში ლევან ყენიასთან, ლევან მჭედლიძესა და გიორგი მაკარიძესთან ერთად თამაშობდა. შარშან ზაქარიამ 19-წლამდელთა შესარჩევებშიც იბურთავა, რის შემდეგაც საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაც პეტარ სეგრტის ყურადღებაც მიიპყრო — ულვაშა ხორვატს ეს ბიჭი ძალიან მოსწონს.

**ილია ნანობაშვილი**

# ვის გავაკეთებინოთ კომპიუტერი?

„**სარბიელმა**“ ორიოდ დღის წინ საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა: გაზეთის ორი თანამშრომელი ტელეფონს მიუჯდა და 400 ნომერი აკრიფა. კითხვაზე, სადაური უნდა იყოს საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი, ისინი რესპონდენტებს პასუხის სამ ვარიანტს სთავაზობდნენ: ქართველი, უცხოელი და სულერთია. გამოკითხვის შედეგი ასეთი გამოვიდა: 53%-მა ქართველთა მწვრთნელად ქართველი ისურვა, 34,5%-მა უცხოელი, 10%-მა თქვა, სულერთიაო და გამოჩნდა კიდევ 10 ადამიანი, რომელთაც პასუხისგან თავი შეიკავეს.

ბუნებრივია, ეს გახლდათ სრულიად დილეტანტურად შედგენილ-შესრულებული აქცია, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც დამაფიქრებელი იყო... რასაკვირველია, ისეთი ხალხისთვის, ვისაც ფიქრი ჯერ კიდევ აქვს ჩვევად.

ახლა კი იმის შესახებ, მე რატომღა დავხარჯე მელანი: მოკლე წერილში (თუ გნებავთ, მხოლოდ და მხოლოდ რეპლიკაში), რომელსაც აქ გთავაზობთ, გამოკითხვის ანალიზს არ ვაპირებ. ასე ვთქვათ, მიზნად არ ვისახავ იმაზე ფიქრს, ვინ რა მოტივით გასცა ასეთი ან ისეთი პასუხი, უბრალოდ, საკუთარი შეხედულება მინდა გაგაცნოთ:

ღვინო კახელის დაწურული მირჩევნია, მანქანა გერმანელი ან იაპონელი კონსტრუქტორის აწყობილი, საკომპიუტერო საქმეში მიჯობს, რჩევა IBM-ის თანამშრომელს ვკითხო, კუნ-ფუს მასწავლებლად კი, სავარაუდოდ, ჩინელს ავიყვანდი... სხვა სიტყვებით, შევეცდებოდი, სპეციალისტი იმ სამყაროდან მომეწვია, სადაც ჩემთვის საჭირო დარგი განვითარებულია.

რაც შეეხებათ ქართველებს. როდესაც ვსვამ კითხვას, ვთქვათ, საკომპიუტერო საქმე IBM-ის ექსპერტს ჩავაბარო თუ რომელიმე თბილისელს ან ქუთაისელს, ზუსტად უნდა ვიცოდე, ვინ თბილისელ-ქუთაისელზეა ლაპარაკი, თორემ ზოგადად ამ კითხვის დასმაც კი უხერხულია... ანუ, თუ ღვთის მადლით, ვიღაც ძალიან ძლიერი აქვე გვყავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დავსვათ ეს კითხვა, თუ არა და, ასეთი რამ გამოგვივა: ავტომობილის ნაწილი საიდან სჯობს მოვიტანოთ, ქარხნიდან თუ...?

ამიტომ, ვფიქრობ, ზოგადად ქართველზე ლაპარაკსა და პატრიოტული ორთქლის გამოშვებას სჯობს, კონკრეტული ქართველების გვარები ჩამოვთვალოთ... თუ გნებავთ, ჯერ ყველამ თავისთვის.

და, უმორჩილესად გთხოვთ, ნუ დაასახელებთ ისეთ კაცს, რომელიც, თავადაც კარგად გეცოდინებათ, რომ ჩემი და თქვენი ქვეყნის ეროვნულ გუნდს „საფეხბურთო ჯიხურად“ უპირებს ქცევას.

ხოლო რაც შეეხება უცხოელს, იმედი მაქვს, რომ საქართველოში საზღვარგარეთიდან სპეციალისტის მოწვევის აბსოლუტურად ჯანსაღი იდეა (შეგახსენებთ, უცხოელი მწვრთნელი თვით ინგლისელებმა მიიწვიეს) არასწორად შერჩეული კანდიდატების გამო ინფლაციას ჯერ კიდევ არ განიცდის.

**ილია ბაბუნაშვილი**

ამაგდარ მწვრთნელს, თაობათა აღმზრდელ
ჯემალ გაბისონიას
სარბიელელები ვულოცავთ დაბადების დღეს!

### ინგლისი
ჩემპიონატი. XLII ტური
სტოკი 1:2 კრ. პალასი

### გერმანია
II ბუნდესლიგა
XXVII ტური
კიოლნი 1:1 გლადბახი

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XXXI ტური
გრენობლი 2:0 ტრუა

### პორტუგალია
სუპერლიგა. XXV ტური
ლეიშოეში 1:2 ბელენენსეში

### შოტლანდია
პრემიერლიგა. XXXIII ტური
აბერდინი 2:1 ფოლკირკი

### დანია
სუპერლიგა. XXIII ტური
ორჰუსი 0:0 ვიბორგი

### ნორვეგია
ტიპელიგა. II ტური
სტრიომსგოდსეტი 3:2 რუსენბორგი

### შვედეთი
ალსვენსკა. II ტური
ჰამარბი 5:3 სუნდსვალი
კალმარი 3:1 ლიუნგსკილე
ელფსბორგი 3:0 აიკ

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა. XXVII ტური
ვოლენი 2:2 კრინსი

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა. XXIV ტური
პლზენი 0:0 სლავია

### სლოვაკეთი
I ლიგა. XXIV ტური
დუბნიცა 1:1 რუჟომბეროკი

### ამხანაგური მატჩი
იემენი 2:1 ტანზანია

# ყველანი ვიქცეთ უნგრელ ბარმენებად!



**აგერ, მერამდენედ დაისვა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვინაობის საკითხი და ყოველთვის, ეს კითხვა მთავარ კითხვად იქცევა ხოლმე. ეს ბუნებრივიცაა...**

**და ყოველთვის, როდესაც ეს კითხვა დღის წესრიგში დგება, მთელ ყურადღებას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისკენ მივაპყრობთ, რაკი ფედერაციის პრეზიდენტი ის პერსონაა, ამ კითხვაზე პასუხი რომ უნდა გაგვცეს. გუშინ ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს, ცხადია, ამ სანაკრებო თემაზე სასაუბროდ დავურეკეთ, იქამდე კი საკლუბო პრობლემებზეც დავეკითხეთ — გუშინ ფედერაციის პრეზიდენტს კლუბების ხელმძღვანელებთან ჰქონდა შეხვედრა...**

— უმაღლესი და პირველი ლიგების კლუბების მეპატრონეებს შევხვდით. ეს ადამიანები ფეხბურთის სიყვარულის გამო ინვესტიციებს დებენ ფეხბურთში და ჩვენი მიზანია, მათ მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი. მაგალითად, ზოგიერთ კლუბს მიწის ნაკვეთის დაკანონების პრობლემა აქვს, ზოგს სტადიონის იჯარის... ერთი სიტყვით, არსებობს ინდივიდუალური პრობლემებიც და ყველასთვის საერთოც.

**— ახსენეთ, კლუბების მეპატრონეები ფეხბურთის სიყვარულის გამო ახორციელებენ ინვესტიციებსო. არადა, ალბათ, უმჯობესია, მათთვის მიმზიდველი საინვესტიციო გარემო შეიქმნას...**

— სწორედ ამაზე ვმუშაობთ, რომ მიმზიდველი საინვესტიციო გარემო შეიქმნას. მუდმივი კონსულტაციები გვაქვს სახელმწიფო სტრუქტურებთან. აგრეთვე აქტიური კონტაქტი გვაქვს ინგლისურ საკონსულტაციო ჯგუფ FMMI-სთან. ჩვენი ამოცანაა, მომგებიანი ბიზნეს-გარემოს შექმნა.

**— მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სახელმწიფოს აქტიური დახმარების გარეშე მიმზიდველი საინვესტიციო გარემო ვერ ჩამოყალიბდება...**

— რა თქმა უნდა. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა აქამდეც გვქონდა და მომავალშიც ასე იქნება. ფეხბურთის ხომ სოციალურ-საზოგადოებრივი მნიშვნელობაც გააჩნია. ამ საკითხზე კონსულტაცია კვლავ გაგრძელდება და მომდევნო ორშაბათს კლუბების წარმომადგენლებთან კიდევ ერთი შეხვედრა გვაქვს.

**— ბოლო დღეებია, მთავარი კითხვა საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობაა. ამ მხრივ რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

— ამ საკითხზე ინტენსიურად ვმუშაობთ, სხვადასხვა ვარიანტს განვიხილავთ. აუცილებელია, რომ ის პრობლემები, რაც კლაუს ტოპმიოლერს მუშაობისას შეექმნა, ახალ მწვრთნელს აღარ ჰქონდეს. იმას ვგულისხმობ, რომ მწვრთნელი პირველივე დღიდან თანმიმდევრულ პოლიტიკას უნდა ატარებდეს. არ შეიძლება, რომ ფეხბურთელის ესა თუ ის მოქმედება გულშემატკივარში ეჭვს იწვევდეს. არ შეიძლება, რომ პირადული წყენა ვინმემ საერთო საქმის საზიანოდ გამოიყენოს.

**— რას გულისხმობთ?**

— პირველ რიგში, ქართულ მენტალიტეტთან დაკავშირებულ პრობლემებს. მაგალითად, იმას, რომ ფეხბურთელისთვის ნაკრებში გამოძახება უმთავრესი მოტივაცია უნდა იყოს. იძახებენ? დამატებითი მოტივაცია არ უნდა სჭირდებოდეს. ტოპმიოლერისთვის ეს გაუგებარი იყო. მაგალითად, თქვენ არ გაგჩენიათ ეჭვი, როდესაც ოთხშაბათის სანაკრებო მატჩში ტრავმირებული ფეხბურთელი პარასკევს კლუბში 90 წუთს თამაშობს?!

**— ანუ პასუხისმგებლობა ფეხბურთელებზეც უნდა გადანაწილდეს...**

— ვიმეორებ, ამგვარი ეჭვი ჩნდება. ასეთ მაგალითსაც მოვიტან. წინა საუკუნის 50-იან წლებში როდესაც უნგრეთის დიდ ნაკრებში ფერენც პუშკაში და სხვა დიდი ფეხბურთელები თამაშობდნენ, ასეთი ამბავი მოხდა: ერთ-ერთი საშინაო მატჩის მერე უნგრეთის ნაკრების ფეხბურთელები ბარში შევიდნენ ლუდის დასალევად. ბარმენმა და იქ მყოფმა სხვა ადამიანებმა ნაკრების ფეხბურთელები ბარიდან გაყარეს! დასალევად არ უნდა დადიოდეთო. ხოლო ჩვენთან, როდესაც ფეხბურთელი ნაკრებში უთამაშებლობის მიზეზად ტრავმას ასახელებს, ორ დღეში კი კლუბში 90 წუთს თამაშობს, მით უმეტეს უნდა დავინტერესდეთ, რაშია საქმე.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ მენტალურ პრობლემებში ჩაწვდომას აღმოსავლეთევროპელი მწვრთნელი უფრო შეძლებს?**

— შესაძლოა, ასე იყოს, მაგრამ ადრეც ვთქვი, რომ მწვრთნელის შერჩევას პასპორტის მიხედვით არ ვაპირებთ. ხოლო ვინ იქნება ახალი მწვრთნელი, ამას ახლო მომავალში გადავწყვეტთ.

**გიორგი დარჯანია**



ადრიანო გალიანი და კახა კალაძე







# კალა და მილანი

**გუშინ** მილანის სასტუმრო FOUR SEASON-ში საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ და საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა კომპანია „კალა კაპიტალის" პრეზენტაცია გამართეს, რომელსაც „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი და ფეხბურთელებიც დაესწრნენ.

პრეზენტაციაზე *ზურაბ ნოღაიდელმა* კომპანიის მიზნებზე ისაუბრა...

— „კალა კაპიტალი" კომპანიაა, რომელიც 2007 წელს თბილისში დაფუძნდა და საქართველოს ეკონომიკურ სექტორში ინვესტიციების მოზიდვაზეა ორიენტირებული. ინტერესთა სფერო სამ სექტორს — მშენებლობას, ენერგეტიკას და საბანკოს მოიცავს...

...ცოტა ხნის წინ თბილისში 80 ჰექტარი ტერიტორია შევიძინეთ, რათა მილიარდნახევრიანი პროექტი „არსენალ სიტი" განვახორციელოთ. ამ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლები, კომერციული დაწესებულებები, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები აშენდება. მოსალოდნელია, რომ „არსენალ სიტი" საქართველოს სამშენებლო ბიზნესში ყველაზე მასშტაბური პროექტი იქნება, რომელიც 25 ათას სამუშაო ადგილს შექმნის".

პრეზენტაციის ბოლოს *კახა კალაძემ* განაცხადა, რომ ეს პროექტი დიდად წაადგება გაჭირვებულ ქართველ ხალხს...

„ქართველი ვარ და საქართველოს დახმარება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს პროექტი გაჭირვებულ ხალხს დაეხმარება. ბავშვების დახმარებაც მსურს და მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში მოხდება პროექტის პრეზენტაცია, რომლის მიზანი სწორედ გაჭირვებული ბავშვებისთვის დახმარების გაწევა და მათი პირობების გაუმჯობესებაა".

„მილანი" სერია A-ს მომდევნო ტურში სტუმრად ტურინის „იუვენტუსს" ეთამაშება და, ცხადია, ჟურნალისტებმა ქართველ მცველს მომავალ მატჩზეც დაეკითხნენ...

„დისკვალიფიკაციის გამო „იუვენტუსთან" ვერ ვითამაშებ. ჩემი აზრით, არბიტრმა როზეტიმ ყვითელი ბარათი დაუმსახურებლად მომცა. ვეცდებით, ტურინელები დავამარცხოთ, ვინაიდან 3 ქულა აუცილებლად გვჭირდება. შაბათს ამ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში გველის, ვინაიდან გამარჯვების შემთხვევაში, დასახული მიზნის მიღწევის საშუალება გაგვიჩნდება. დარწმუნებული ვარ, ჩემი თანაგუნდელები მოედანზე მაქსიმალურად დაიხარჯებიან".

კალაძეს რონალდინიოს „მილანში" სავარაუდო გადასვლაზეც კი დაეკითხნენ, რაზეც ჩვენი ნაკრების კაპიტანმა თქვა, ამჟამად ბრაზილიელს ყველაზე დიდ ფეხბურთელად მივიჩნევო. ანდრეი შევჩენკოზე კი...

„შევჩენკოს დაბრუნებას გუნდში ყველა მიესალმება, მაგრამ ეს ორივე მხარეზეა დამოკიდებული. მას ტელეფონით ვესაუბრები ხოლმე და, ცხადია, უკმაყოფილოა, რადგან „ჩელსიში" თამაში არ უწევს".

**კახა შალამბერიძე**

# ლევან კობიაშვილის სარეკორდო შანსები

**გერმანული** ბუნდესლიგის 27-ე ტურში „ლევერკუზენის" ბოსნიელმა ფორვარდმა, 36 წლის სერგი ბარბარესმა თავის ბუნდესკარიერაში 323-ე მატჩი გამართა. ეს არის ბუნდესლიგაში მოთამაშე ლეგიონერთა რეკორდი, რომელიც აქამდე დანიელ ოლე ბიორნმორსეს ეკუთვნოდა (323 მატჩი).

ჩვენთვის საინტერესო კი ის არის, რომ გელზენკირხენის „შალკეს" ქართველ ლეგიონერ ლევან კობიაშვილს დღემდე 253 ბუნდესმატჩი აქვს ჩატარებული და ოდენ 12 მატჩით ჩამორჩება მეათეადგილოსან შვეიცარიელ ჩირიაკო სფორცას (265). ანუ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახალი სეზონის დასაწყისში ლევანს მისი გადასწრება შეუძლია, სეზონის ბოლოს კი ვინძლო მე-7-მე-8 ადგილებზეც კი აღმოჩნდეს.

გერმანელი ჟურნალისტების აზრით, 30 წლის კობიაშვილს კარგი შანსი აქვს, 2-3 სეზონში პირველ ადგილზეც კი გავიდეს.

**კახა შალამბერიძე**



ბუნდესლიგის ლეგიონერების ტოპ-ათეული

| | |
|---|---|
| 1. სერგი ბარბარესი (ბოსნია) | 323 |
| 2. ოლე ბიორნმორსე (დანია) | 323 |
| 3. პაბლო ტიამი (გვინეა) | 311 |
| 4. ბუმ კუნ ჩა (ს. კორეა) | 308 |
| 5. ჰასან სალიჰამიჯიჩი (ბოსნია) | 306 |
| 6. ზვონიმირ სოლდო (ხორვატია) | 301 |
| 7. დედე (ბრაზილია) | 281 |
| 8. მიროსლავ სტევიჩი (იუგოსლავია) | 271 |
| 9. რონი ჰელსტრიომი (შვედეთი) | 266 |
| 10. ჩირიაკო სფორცა (შვეიცარია) | 265 |

# ანრი მიშელმაც გაიჟღერა...
## ფედერაციის მწვრთნელის კონტურები



**ვინ** იქნება საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელი — ყველაზე აქტუალური კითხვა, ბევრი მითქმა-მოთქმა, ვარაუდები...

და მაინც, ცოტა რამ გამოიკვეთა: 1. მწვრთნელი უცხოელი იქნება; 2. კვალიფიციური, სახელიანი; 3. ასაკოვანი, ანუ სადღაც 65 წელს გადაცილებული არ უნდა იყოს; 4. კომუნიკაბელური და არაკონფლიქტური; 5. არ არის აუცილებელი, სანაკრებო გამოცდილება ჰქონდეს; 6. დისციპლინის მოყვარული.

შევიტყვეთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაახლოებით 30 კაცს შორის არჩევს სასურველ სპეციალისტს. ისინი შედარებით სკეპტიკურად უყურებენ დანიელ პასარელასა და ივო შუშაკის კანდიდატურებს, ასევე ძალიან საეჭვოა მორტენ ოლსენისა და ლუის ვან გაალის ვარიანტები.

ფედერაციას ოლსენი ძალიანაც მოსწონს, მაგრამ მას დანიის ნაკრებთან მოქმედი კონტრაქტი აქვს და რაკი საქართველოს 10 მაისამდე მწვრთნელი უნდა ჰყავდეს, დაგვეთანხმებით, ძალიან ცოტა დროა საიმისოდ, რომ ოლსენმა „დინამიტებთან" კონტრაქტი გაწყვიტოს და ქართულ მხარესთან მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულოს. რაც შეეხება ვან გაალს, მას, როგორც იტყვიან, კბილებით აკავებენ „ალკმაარში" და დიდი შანსია, დარჩეს კიდეც. თანაც, ვან გაალი მაინცდამაინც არაა მოხიბლული ქართული ვარიანტით. პლუს, „ჰამბურგი" და „გალათასარაი" ეპატიჟებიან...

გაიჟღერა ანრი მიშელის გვარმაც. 60 წლის ფრანგი სპეციალისტი 2004 წლის დასაწყისშიც განიხილებოდა საქართველოს ნაკრების თავკაცად, თუმცა საქართველოს ფეხბურთის წინამორბედმა ფედერაციამ მას ალენ ჟირესი არჩია, მიშელი კი კოტ დივუარში წავიდა და ჯერ აფრიკის თასის ფინალში გაიყვანა გუნდი, მერე კი 2006 წლის მუნდიალზე ხარისხიანი (თუმც უშედეგო) ფეხბურთი ათამაშა.

ბოლო წლებში მუსიე ანრი მაროკოს ნაკრებში მუშაობდა, მაგრამ წლეულს აფრიკის თასზე ჯგუფიდან ვერ გაიყვანა გუნდი და ახლა თავისუფალია... მიშელის ძველ მიღწევებს კი აქ ნუ ჩამოვთვლით — საფრანგეთის ნაკრებში მიღწეულ წარმატებებს ვგულისხმობთ.

**ილია ნანობაშვილი**

# გიორგი შაშიაშვილი: მკაცრი მწვრთნელი გვინდა

**რაც ავსტრიის მაქსბუნდესლიგის მეორე ეტაპი დაიწყო, გიორგი შაშიაშვილის „შტურმმა" კანტიკუნტი ქულებილა აილო, რაც ლიდერობიდან მეხუთე ადგილზე ჩასვლად დაუჯდა. ავსტრიაში სამი ტურილა დარჩა სათამაშო და ძნელად სავარაუდოა, გრაცელებმა უეფას თასზე გასვლა მოახერხონ — „შაშის" გუნდს ბოლო ლურსმანი „ზალცბურგმა" ჩააჭედა, 3:0 მოუგო. გიორგის გუშინ ავსტრიაში დავუკავშირდით, „შტურმზე" უფრო სანაკრებო ამბები გვაინტერესებდა და აქედან დავიწყეთ...**



— **ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩი არ ვახსენოთ, არ გამოვა...**

— წარმოუდგენელი იყო ასეთი მარცხი. რაღა უნდა ვილაპარაკო, ანგარიშიდანაც ჩანს, როგორ ვითამაშეთ. უკვე მერამდენედ გავაწბილეთ გულშემატკივარი... კლაუს ტოპმიოლერიც მოხსნეს და ახლა ძალიან მაინტერესებს, ვინ იქნება მისი შემცვლელი.

— **და შენი აზრით, ამ კონკრეტულ მომენტში უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანა უფრო მართებულია თუ ქართველის?**

— ისე არ გაიგოთ, თითქოს ეროვნებას ვანიჭებდე მნიშვნელობას, მაგრამ ნაკრებს უკეთესი შედეგები ქართველი მწვრთნელების ხელში ჰქონდა.

— **როგორი წარმოგიდგენია ახალი მწვრთნელი, რა სჭირდება ნაკრებს ყველაზე მეტად?**

— აუცილებლად მკაცრი უნდა იყოს და კვალიფიკაციაზე აღარც ვლაპარაკობ. რაც შეიძლება, მალე უნდა ჩასწვდეს ქართულ ფეხბურთს, მის თავისებურებებს. დღეს საქართველოში არ არის იმდენი მაღალი დონის მოთამაშე, რომ სუპერნაკრების გაკეთება შეიძლებოდეს, ამიტომაც ახალმა მწვრთნელმა თავიდანვე უნდა იცოდეს, რა კონტინგენტთან მოუწევს მუშაობა, რისი იმედი უნდა ჰქონდეს... იმედია, არჩევანში არ შევცდებით.

— **„შტურმზეც" ვთქვათ — გუშინ „ზალცბურგთან" უშანსოდ წააგეთ...**

— მეორე წრე მთლიანად ჩაგვივარდა და უეფას თასზეც ვერ გავდივართ. იმანაც იმოქმედა, რომ ხუთი ფეხბურთელი სეზონის ბოლოს მიდის და ცოტა დაიძაბა სიტუაცია გუნდში. „ზალცბურგთან" კი არც უნდა მეთამაშა, ფეხი მტკიოდა და ასი პროცენტით მზად არ ვიყავი, მაგრამ მაინც გავედი მინდორზე.

— **შენ ხომ არ აპირებ კლუბის შეცვლას?**

— ჯერ არ ვიცი. აქ კონტრაქტით კიდევ ერთი წელი მაქვს სათამაშო და გავიგე, „შტურმს" ხელშეკრულების გაგრძელება უნდა ჩემთან, თუმცა თუ უკეთესი გუნდის ვარიანტი მექნება, წავალ. ჯერჯერობით კი სეზონი არ დამთავრებულა და სერიოზული წინადადებები არ მიმიღია.

— **ამასწინათ გვითხარი, „შტურმი" სამი ქართველი ფეხბურთელითაა დაინტერესებული და ერთ-ერთი გიორგი მჭედლიშვილი...**

— მაკარიძეზე კიდევ ითქვა და ვნახოთ, იქნებ ზაფხულში შეიძინონ კიდეც. დანარჩენ ორ ქართველზე კი ვერაფერს გეტყვი, კონკრეტულად გვარები არ გაუხმაურებიათ.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მახაჩყალის „ანჟის" ქართული შვიდეულიდან დაღესტნელ გულშემატკივარს გიორგი ნავალოვსკიმ უკვე დაამახსოვრა თავი. დაბალი, სწრაფი, უტეხი — ასე ახასიათებენ ჟურნალისტები ქართველ ფეხბურთელს და მილანელ ჯენარო გატუზოსაც ამსგავსებენ. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ნავალოვსკისთან ინტერვიუს აღება გადაწყვიტა, მაგრამ პრობლემები შეექმნა — აღმოჩნდა, რომ გიორგიმ რუსული საერთოდ არ იცის და ჟურნალისტმაც დასახმარებლად ანჟელ ზურაბ არზიანს მიმართა...**

# ნავალოვსკიმ რუსები უკვე გააოცა: არც ერთი სიტყვა რუსულად! „გიორგი გატუზოს" ლეო მესი მოსწონს

— როგორც ყველა პატარა ბიჭი, ფეხბურთს ქუჩაში ვთამაშობდი. ალბათ ასეც გაგრძელდებოდა, მაგრამ ჩემმა მეზობელმა ხელი მომკიდა და საფეხბურთო სკოლაში წამიყვანა.

— **რამდენი წლის იყავი?**

— 8-ის თუ 9-ის, ზუსტად არ მახსოვს. თბილისში ბევრი საფეხბურთო სკოლაა, მე ცნობილ ოცდამეთხუთმეტეში მოვხვდი, სადაც ბევრი მაღალი კლასის მოთამაშე გაზრდილა. არც მიფიქრია, პროფესიონალი ფეხბურთელი თუ გავხდებოდი, ნაკრების მაისურის ჩაცმაზე ხომ არც მიოცნებია... მალე გართობა პროფესიაში გადაიზარდა და „დინამოს" აკადემიაში მოვხვდი. მერე იყო „დინამოს" სარეზერვო გუნდი, „დინამო" და რუსთავის „ოლიმპი".

— **ქართული საზომებით „ოლიმპი" მდიდარი კლუბია?**

— ერთ-ერთი მდიდარი. შარშან „ოლიმპთან" ერთად საქართველოს ჩემპიონი გავხდი. საქართველოში სამი-ოთხი სოლიდური გუნდია, დანარჩენები გაჭირვებით აგრძელებენ არსებობას. ზოგს საკუთარი ბაზა კი არა, ელემენტარული პირობებიც არ აქვს.

— **პირველი ხელფასი გახსოვს?**

— ეს დაუვიწყარია — 50 დოლარი ავიღე და მეგობრებთან ერთად პირველი ხელფასის აღსანიშნავად წავედი. როცა „დინამოში" გადავედი, მივხვდი, რომ ეს ჩემი პირველი სერიოზული ნაბიჯი იყო ფეხბურთში, „ანჟიში" გადმოსვლა — მორიგი იღბალი.

— **და როგორ მოხვდი მახაჩყალაში?**

— საიდუმლო არ არის, რომ საქართველოში ფეხბურთელს ცოტას უხდიან. ვერც ჩემპიონატის დონით დავიკვეხნით. ჯერ კიდევ „დინამოში" თამაშისას გერმანული „კიოლნის" სარეზერვო გუნდში მოხვედრა შემეძლო, თუმც კლუბმა არ გამიშვა. მოგვიანებით „ოლიმპთან" გავაფორმე კონტრაქტი, რომლის ერთ-ერთ პუნქტში ეწერა, რომ სარფიანი წინადადებისას უფასოდ შემეძლო კლუბის დატოვება. ამიტომ მახაჩყალაში გადმოსვლა რომ შემომთავაზეს, არც დავფიქრებულვარ. რუსეთის პირველი დივიზიონის დონე საკმაოდ მაღალია. მოხარული ვარ, რომ „ანჟიში" ვთამაშობ.

— **გულშემატკივარი როგორია?**

— ძალიან კარგი გულშემატკივარი გვყავს. საქართველოში უფრო ცოტა ხალხი დადის სტადიონზე. აქ ერთ-ერთი თამაშისას გავიგონე, ტრიბუნიდან ვიღაც გატუზოს მეძახდა, თუმც მე ბარსელონელი მესის გულშემატკივარი ვარ.

— **ქართველებს ძალიან უყვართ ღვინო და სიმღერა...**

— შემიძლია, ხანდახან სამი ჭიქა დავლიო, მეტი არა. რეჟიმის დარღვევა არ მიყვარს. მეგობრების წრეში ვმღერი კიდეც...

*ნავალოვსკიმ და არზიანმა იქვე წაუმღერეს ჟურნალისტს ქართული ხალხური სიმღერა...*

— **ცოლიანი ხარ?**

— არა, მაგრამ შეყვარებული მყავს.

— **რა ჰქვია?**

— სოფო.

*თქვენებურად სოფია — ჩვენთა საუბარში ინტერვიუს შესწორებული კიდევ ერთი ქართველი ანჟელი რევაზ ბარაბაძე.*

— **სად გაიცანით ერთმანეთი?**

— შარშან მეგობრის დაბადების დღეზე.

— **ქორწილის დღე დათქმული გაქვთ?**

— კი. პირველი წრის შემდეგ დავქორწინდებით და მახაჩყალაშიც ერთად ჩამოვალთ.

— **დიდ ქორწილს აპირებ?**

— დაახლოებით 300 კაცს დავპატიჟებ.

— **საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობებზე ბევრს საუბრობენ. შენ რას ფიქრობ?**

— პოლიტიკის ატანა არ მაქვს, ლაპარაკიც არ მინდა. ერთს გეტყვით: საქართველოში ცხოვრება უკეთესობისკენ მიდის და, რასაც აქ ტელევიზიით ამბობენ, ტყუილია.

**საქართველოს 19 ჩემპიონატი**
უმაღლესი ლიგა
II წრე. 20 ტური


„ლოკომოტივს" ხასიათი ლევან სილაგაძის (მარცხნივ) გოლმა წაუხდინა

# ტივტივა ცუდად თამაშობს

ვისაც უნდა მოეგო, მოიგო — საქართველოს ჩემპიონატში ბოლო წლებში თითქმის სულ ასეა, რაც უფრო ფინიშისკენ მიდის, მით უფრო იოლად იმარჯვებდნენ ფავორიტები. ცუდია, რომ კლასში ამხელა განსხვავებაა, მაგრამ კიდევ უფრო ცუდია, ერთი გუნდი თამაშამდე რომ წაგებაშეგუებულია.

ცოტა რამ სტატისტიკაზე: ტურის შვიდი მატჩიდან ხუთი მასპინძლებმა მოიგეს. ერთადერთი შეხვედრა დასრულდა მინიმალური სხვაობით.

შეიცვალა ჩემპიონატის ბომბარდირიც. დინამოელმა მიხეილ ხუციშვილმა „ბათუმთან" დუბლი შეასრულა და ერთი ბურთით გადაასწრო თანაგუნდელ გიორგი მერებაშვილს. კვლავ გაიტანა „ზესტაფონის" ბრაზილიელმა ჟილვან ვიეირამ, ვინც წინა ტურებში თუ ჰეთ ტრიქსა და დუბლს გამორჩა, ამჯერად კი „სიონთან" კინკილას გამორჩა და ისიც პენალტით.

აღსანიშნი ფაქტია ლევან ცქიტიშვილის დაბრუნება საქართველოს ჩემპიონატში, ის 10-წლიანი განშორების შემდეგ ისევ თბილისურ კლუბში თამაშობს, ოღონდ არა „დინამოში", არამედ „ლოკომოტივში" და რასა იქმს „ლოკომოტივი"? ცუდად აქვს საქმე, რაკილა ახლა რუსთავის „ოლიმპთან" წააგო და ბოლოდან მესამე, გასავარდნ ადგილზეა.

ვაკელთა და რუსთაველთა ჯახი ისეთი იყო, არც ფრე გაგვიკვირდებოდა და არც სტუმართა უფრო ეშხიანი ანგარიშით მოგება — ბევრი საგოლე მომენტი შეიქმნა, განსაკუთრებით თვალშისაცემი კი „ლოკომოტივის" კიდევ ერთი სახელიანი ფეხბურთელის, რატი ალექსიძის ბურთაობა იყო, აი, „ცქიტოს" კი დიდად ღირებული არაფერი შეუქმნია.

ზუგდიდში 0:5 განადგურებულ გორის „დილას" უმაღლესში დარჩენის თეორიული შანსიღა დარჩა, ოთხი გუნდიდან („ლოკომოტივი", „ბათუმი", „სპარტაკი", „მერანი") ერთი გადარჩება გავარდნას, ერთს საპლეიოფო მატჩი მოუწევს პირველლიგელთან, ორი კი ქვედა ეშელონში ჩაეშვება. ეს ოთხეული შორიახლო დგას ერთმანეთთან და ბოლო ტურებში მართლაც რომ ექვსქულიანი თამაშები ექნებათ ერთმანეთში.

საინტერესოა, რომ გასულ შაბათ-კვირას ხუთივემ („დილას" ჩათვლით) წააგო.

ცხრილის ზედა ნაწილში ავიხედოთ, სადაც „დინამო" ისევ ორქულიანი ჰანდიკაპით ლიდერობს და მომდევნო ორ ტურში აქვს ძნელი მატჩები — ჯერ „ამერთან", მერე კი მთავარ მდევარ „ვიტ ჯორჯიასთან". ნესტორ მუმლაძის გუნდმა მიჯრით მე-14 შეხვედრა მოიგო ჩემპიონატში და ამ 14-ში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უადვილესი შაბათს ჰქონდა „მერანთან".

ჩემპიონობის მკრთალი შანსი „ზესტაფონსაც აქვს, რომელმაც აქამდე ამაოდ უცადა დინამოელთა და ვიტელთა წაფორხილებას, მაგრამ ვინ იცის, დარჩენილ ტურებში ისეთი ამბები მოხდეს, ფეროელები მოულოდნელად გალიდერდნენ. თემურ მახარაძის გუნდი „სიონთან" მე-20 წუთზე კაცმეტი დარჩა, რაკილა სტუმრებს გიორგი კვიტაიშვილი გაუძევეს. იბრძოლეს ბოლნისელებმა, 10 კაცით ანგარიშის გათანაბრებაც შეძლეს, მაგრამ საკუთარ თავს ვერ გადაახტები.

გამარჯვებების სერია გააგრძელა „ამერმა", მაგრამ დაუგვიანდა, ჩემპიონატში მესამე ადგილს ველარ შესწვდება და წინა წლების მსგავსად, თასს უფრო მიეძალება. უხერხული შედარებაა და „ამერის" სიტუაცია „ლივერპულისას" წააგავს, ვინც ფინიშამდე კარგახნით ეთიშება საჩემპიონო რბოლას, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ბარე ორ ინგლისურ კლუბზე უკეთ გამოიყურება.

ამერელებმა პირველი ტაიმის ბოლოს გაუტანეს გოლები საშიშ ზონაში მყოფ „სპარტაკს". ნელ-ნელა შევიდა გოლების ეშხში რევაზ გოცირიძე, ვინც ანგარიში გახსნა, მეორე კი დენის დობროვოლსკიმ გაიტანა ლამაზი დარტყმით.

მეზობლების მატჩებში „მესხეთმა" „ბორჯომს" 2:0 მოუგო, ორივე ბურთი დავით ინასარიძემ შეაგდო და აკი ნამატჩევს პეტარ ნეგრტის ქებაც დაიმსახურა — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა მესხთა მეგოლეს Man of the match უწოდა, თუმც 21 წლამდელებში ნამდვილად ვერ გამოადგება: ინასარიძე 30 წელს გადაცილებულია...

**ილია ნანობაშვილი**

**მგლები 5:0 დილა**
**ზესტაფონი 3:1 სიონი**
**ლოკომოტივი 0:1 ოლიმპი**
**ვიტ ჯორჯია 3:0 მერანი**
**მესხეთი 2:0 ბორჯომი**
**ამერი 2:0 სპარტაკი**
**ბათუმი 1:4 დინამო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 18 | 0 | 2 | 51:11 | 54 |
| ვიტ ჯორჯია | 20 | 17 | 1 | 2 | 40:10 | 52 |
| ზესტაფონი | 20 | 15 | 3 | 2 | 43:11 | 48 |
| ამერი | 20 | 12 | 2 | 6 | 36:21 | 38 |
| ოლიმპი | 20 | 10 | 4 | 6 | 18:15 | 34 |
| ბორჯომი | 20 | 8 | 4 | 8 | 25:24 | 28 |
| მესხეთი | 20 | 8 | 4 | 8 | 19:23 | 28 |
| მგლები | 20 | 8 | 3 | 9 | 21:20 | 27 |
| სიონი | 20 | 6 | 5 | 9 | 22:27 | 23 |
| მერანი | 20 | 5 | 1 | 14 | 11:35 | 16 |
| სპარტაკი | 20 | 4 | 4 | 12 | 8:23 | 16 |
| ლოკომოტივი | 20 | 3 | 5 | 12 | 11:26 | 14 |
| ბათუმი | 20 | 3 | 3 | 14 | 10:37 | 12 |
| დილა | 20 | 1 | 5 | 14 | 8:42 | 8 |

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 13 - | მ. ხუციშვილი | დინამო |
| 12 - | გ. მერებაშვილი | დინამო |
| 9 - | რ. ტატანაშვილი | ამერი |
| | ჟ. ვიეირა | ზესტაფონი |
| | შ. მიქირა | ზესტაფონი |

**21-ე ტური**

12 აპრილი, შაბათი
მერანი – მესხეთი
ბათუმი – მგლები
სპარტაკი – ვიტ ჯორჯია
სიონი – ლოკომოტივი
13 აპრილი, კვირა
დინამო – ამერი
ოლიმპი – დილა
ბორჯომი – ზესტაფონი

**სიმბოლური ნაკრები**

მიხეილ ხუციშვილი — დინამო
ჯაბა ლიპარტია — ვიტ ჯორჯია
დავით ინასარიძე — მესხეთი
გიორგი კახელიშვილი — ოლიმპი
კობა შალამბერიძე — ამერი
დენის დობროვოლსკი — ამერი
ლევან ბაჯელიძე — სიონი
ედიკ საჯაია — ზესტაფონი
ზურაბ ეძონია — მგლები
პაატა დათუნაიშვილი — ვიტ ჯორჯია
ბექა შეყრილაძე — ოლიმპი

# კვირკველიამ სიმბოლურში აბრამიძეც შეიყოლა


დავით კვირკველია

**სანკტ პეტერბურგის** „ზენიტთან“ მატჩის შემდეგ რუბინელი დავით კვირკველია მხოლოდ ერთმა ინტერნეტგამოცემამ შეიყვანა ტურის სიმბოლურ ნაკრებში.

სამაგიეროდ, ქართველი ფეხბურთელი „ტომთან“ (2:1) მატჩის ერთ-ერთი გმირი გახდა და მისი გვარი არც ერთი გამოცემის სიმბოლური ნაკრების გარეთ არ დარჩენილა.

მახაჩყალის „ანჟიში“ კი იმდენი ქართველია, მატჩის შემდეგ რომელიმე საუკეთესოდ რომ არ დაასახელონ, შეუძლებელიც კი ჩანს.

ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან“ (1:0) მოგებული მატჩის შემდეგ ეს პატივი ერთადერთი გოლის ავტორ ვალერი აბრამიძეს ერგო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კაუნასს კვარაცხელიას პენალტი არ დასჭირდა

**ლიტვის** ჩემპიონატში მეორე ტური ჩატარდა და „კაუნასმა“, სადაც გივი კვარაცხელია, ნუკრი მანჩხავა და აკაკი ხუბუტია თამაშობენ, „შილუტე“ 3:0 დაამარცხა.

ამ შეხვედრაში სამივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო და შეუცვლელადაც ითამაშეს.

88-ე წუთზე კვარაცხელიამ პენალტი ვერ გამოიყენა, ხოლო 76-ე წუთზე ხუბუტიამ ყვითელი ბარათი მიიღო.

ორი ტურის შემდეგ ჩემპიონატს „კაუნასი“ 6 ქულით ლიდერობს.

**კახა ზალამბერიძე**

# დვალიშვილის მარცხიანი დებიუტი

**რიგის** „სკონტოში“ მოთამაშე ქართველები, დავით გამეზარდაშვილი და ვლადიმერ დვალიშვილი ლატვიის ჩემპიონატის პირველივე ტურში დამარცხდნენ — სტუმრად 0:1 „ვენტსპილსთან“.

გამეზარდაშვილმა სრულად ითამაშა, დვალიშვილი კი მოედანზე 66-ე წუთზე შევიდა.

ერთიც: „ვენტსპილსის“ განაცხადში არ იყო ზურაბ მენთეშაშვილი.

**კახა ზალამბერიძე**

# ყაზახური ქართველობა

**ყაზახეთის** პრემიერლიგის მე-4 ტურში რევაზ ძოძუაშვილის ყარაგანდის „შახტიორმა“ პავლოდარის „ირტიში“ შინ 3:1 დაამარცხა.

ყარაგანდელმა ლაშა ნოზაძემ შეუცვლელად ითამაშა, ხოლო ლევან მელქაძე სათადარიგო იყო.

ძმებ ზვიად და გიზო ჯელაძეების უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკი“ შინ ალმატის „მეგასპორტთან“ 1:2 დამარცხდა.

ზვიადი სრულად გაისარჯა, უმცროსი ჯელაძე კი 54-ე წუთზე შეცვალეს.

მატჩის ბოლო 8 წუთი დაჰყო მოედანზე ყიზილორდას „კაისარის“ ქართველმა მცველმა ლაშა ჭელიძემ, რომლის გუნდმა სტუმრად „ალმატისთან“ 1:0 იმარჯვა.

**კახა ზალამბერიძე**

# ახალკაცის კინკილა აზერბაიჯანული

**აზერბაიჯანის** ჩემპიონატის მე-19 ტურში მეკარე ზურაბ მამალაძის, ირაკლი ვაშაკიძის, გიორგი გაბიდაურის და თორნიკე აფციაურის „გაბალა“ შინ „ხაზარ-ლენქორანს“ 1:1 დაუზავდა.

მამალაძემ, ვაშაკიძემ და გაბიდაურმა (გააფრთხილეს) 90-90 წუთი ითამაშეს, აფციაურმა კი შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

ამავე ტურში, „ბაკუმ“ ლიდერი „ოლიმპიკი“ მიიღო და 0:1 წააგო.

დამარცხებულთა შორის ალექსანდრე გოგობერიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს. რაც შეეხება ამირან მუჯირს — ტრავმის გამო არ უთამაშია.

ევლახის „კარვანი“ სტუმრად 1:3 დამარცხდა ბაქოს „ინტერთან“. „კარვანში“ გოჩა ტრაპაიძემ სრულად ითამაშა, რომან ახალკაცი 39-ე წუთზე გამოჩნდა და გოლითაც გამოირჩა.

კარვანელთა კიდევ ერთ ქართველ ალექსანდრე ინწკირველს დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია.

აგდამის „ყარაბახმა“ კი სტუმრად „გიანჯლარბირლიი“ 1:0 დაამარცხა. გოგა ბერაიამ სრულად ითამაშა.

**კახა ზალამბერიძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | კალიარი 3:1 | 90 | გააფრთხილეს | 25 | 0 | 5 |
| ლევან მჭედლიძე | ემპოლი | ს | ტორინო 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 18 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | ტოტენჰემი 1:1 | 0 | სათადარიგო | 17 | 0 | 8 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი | ს | ზალცბურგი 0:3 | 90 | | 29 | 0 | 5 |
| **ავსტრია. ერსტელიგა** | | | | | | | | |
| მირზა ბუალავა | ლუშტენაუ | შ | გრატკორნი 2:2 | 38 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ჰანზა 1:0 | 0 | სათადარიგო | 11 | 1 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | ს | არმინია 0:1 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 23 | 0 | 9 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | ს | ფიურტი 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 10 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | ზანკტ პაული 0:5 | 0 | განაცხადში არ იყო | 2 | 0 | 6 |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი | შ | პადერბორნი 3:0 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 17 |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი | შ | პადერბორნი 3:0 | 90 | | 13 | 0 | 17 |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი | შ | პადერბორნი 3:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 17 |
| **ესპანეთი. პრიმერადივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე | შ | ვალიადოლიდი 0:3 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 20 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | სატურნი 2:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 3 |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | ს | სატურნი 2:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 3 |
| დავით კვირკველია | რუბინი | შ | ტომი 2:1 | 90 | 1 გოლი | 4 | 1 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | ტომი 2:1 | 64 | შეცვალეს | 3 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | ტომი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | შ | დინამო 0:2 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 13 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | ნალჩიკი | შ | დინამო 0:2 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 0 | 13 |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | შ | დინამო 0:2 | 82 | შეცვალეს | 4 | 0 | 13 |
| ლევან გვაზავა | ლუჩ-ენერგია | ს | კრილია 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 1 | 11 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გედევან დარასელია | ტორპედო | შ | ურალი 2:2 | 0 | | 0 | 0 | 11 |
| ვალერი აბრამიძე | ანჟი | ს | ჩერნომორეცი 1:0 | 90 | 1 გოლი | 3 | 1 | 1 |
| გიორგი ნავალოვსკი | ანჟი | ს | ჩერნომორეცი 1:0 | 90 | | 3 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | ანჟი | ს | ჩერნომორეცი 1:0 | 73 | შეცვალეს | 3 | 1 | 1 |
| ზურაბ არზიანი | ანჟი | ს | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| რევაზ ჯიქია | ანჟი | ს | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| გოჩა ხოჯავა | ანჟი | ს | ჩერნომორეცი 1:0 | 89 | შეცვალეს | 3 | 0 | 1 |
| რევაზ ბარაბაძე | ანჟი | ს | ჩერნომორეცი 1:0 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | შ | ვიტიაზი 2:1 | 0 | | 1 | 0 | 7 |
| გია გრიგალავა | სკა | ს | ენერგია 1:4 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 13 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი | ს | აარაუ 0:3 | 31 | შეცვლაზე ითამაშა | 20 | 1 | 10 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | ს | ლიბერეცი 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | 7 |
| **დანია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | ს | ორჰუსი 0:0 | 0 | სათადარიგო | 7 | 0 | 11 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | მ. დონეცკი 3:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | მ. დონეცკი 3:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 1 |
| კახა ალადაშვილი | ხარკოვი | შ | ნეფტიანიკი 4:1 | 83 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 6 | 0 | 11 |
| ლადო ბურდული | ზარია | შ | კრივბასი 1:2 | 0 | | 17 | 0 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | ვორსკლა | შ | მ. ზაპოროჟიე 2:1 | 0 | | 0 | 0 | 12 |
| ირაკლი მოდებაძე | კრივბასი | ს | ზარია 2:1 | 0 | | 0 | 0 | 10 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | მეტალისტი 0:1 | 85 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 18 | 3 | 3 |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | ს | მეტალისტი 0:1 | 0 | | 1 | 0 | 3 |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი | ს | ტავრია 1:1 | 0 | სათადარიგო | 18 | 3 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

SLOT POKER CLUB VEGA

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს



# ესეც მესამე...

**ლივერპული — არსენალი (1:1)**
**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლივერპული:** რეინა; კარაგერი, ჰიიპია, შკრტელი, რიისე; ფ. აურელიო, ჯერარდი, მასკერანო, ხაბი ალონსო, ბენაიუნი; ფ. ტორესი
**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი
**არსენალი:** ალმუნია; კ. ტურე, გალასი, სენდეროსი, კლიში; ებუე, ფლამინი, ფაბრეგასი, გლები; ადებაიორი, უოლკოტი
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
**მსაჯი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

**„არსენალი“** და „ლივერპული“ ერთმანეთს შვიდ დღეში მესამედ შეხვდებიან. გასულ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ლონდონში გუნდებმა 1:1 ითამაშეს. შაბათს პრემიერლიგაში „არსენალი“ „ლივერპულს“ შინ ასეთივე ანგარიშით დაუზავდა, დღეს კი „მეთოფეები“ „ენფილდს“ ეწვევიან.

პრემიერლიგის პირველ წრეში „ლივერპული“ — „არსენალი“ ასევე 1:1 დასრულდა. ამ სეზონის ტრადიცია თუ არ დაირღვა და დღევანდელი მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო 1:1 დამთავრდა, პენალტები დაინიშნება, პენალტებში კი „ლივერპულს“ ევროთასებზე არასოდეს წაუგია.

წინა სამ სეზონში „ენფილდზე“ მასპინძლებმა „არსენალს“ სამივე საჩემპიონატო შეხვედრა მოუგეს: 2:1, 1:0 და 4:1. სამაგიეროდ, შარშან „მეთოფეებმა“ „ლივერპული“ სტუმრად ლიგისა და ასოციაციის თასზე ორჯერ სძლიეს — 3:1 და 6:3. აღსანიშნავია, რომ ინგლისურ კლუბთან „ლივერპული“ ევროთასებზე შინ არ დამარცხებულა: სამჯერ 1:0 მოიგო, ორჯერ კი სტუმარს უგოლოდ დაუზავდა.

თავის მხრივ, „არსენალი“ პრემიერლიგელს ევროთასზე ერთხელ გადაეყარა — 2003-04 წლების ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ჩელსის“ დაეჯახა და სტუმრად 1:1 ითამაშა, შინ კი 1:2 წააგო.

ჩემპიონატში „არსენალი“ მესამეზეა, „ლივერპული“ კი მეოთხეზე, მაგრამ სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ ორმატჩიან დუელში სწორედ ის იმარჯვებს, ვინც მეტოქეზე დაბლაა. ასე იყო 2005 და 2007 წლებში, როცა „ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიდან „ჩელსი“ ორჯერ დაიფრინა, ხოლო „ჩელსიმ“ „არსენალი“ — ზემოხსენებულ მეოთხედფინალში (2003-04).

1979-80 წლების სეზონში „არსენალი“ და „ლივერპული“ ერთმანეთს 20 დღეში ხუთჯერ ეთამაშნენ. ასოციაციის თასზე პირველი მატჩი 0:0 დასრულდა, რასაც ორი გადათამაშება (ორჯერვე 1:1) მოჰყვა და მეოთხე ცდაზე „მეთოფეებმა“ 1:0 იმარჯვეს. ამ მატჩებს შუა კი ჩემპიონატში გუნდებს შორის შეხვედრა 1:1 დასრულდა.

„შაბათს ჩემმა გუნდმა თავდაუზოგავად იბრძოლა და ორ დღეში ფიზიკურად თუ ფსიქოლოგიურად გამოკეთება უნდა მოვასწროთ, რათა „ენფილდზე“ მოსაგებად ვითამაშოთ — თქვა არსენ ვენგერმა — ჩვენ საკმაო რესურსები გვაქვს საიმისოდ, რათა ნახევარფინალში გავიდეთ. წინა სეზონთან შედარებით, „არსენალის“ პროგრესი აშკარაა. ტიერი ანრის წასვლის გამო ოთხეულში მოხვედრას არ გვიწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ჩემპიონობისთვისაც ვიბრძვით და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშიც ვართ“.

ემანუელ ადებაიორი: „ლივერპულის“ დამარცხება შეუძლებელი არაა. ხალხი იმასაც ამბობდა, „სან სიროზე“ ვერ მოიგებენო, მაგრამ ხომ მოვიგეთ?“

ფრანსესკ ფაბრეგასი: „ენფილდზე“ ჩემპიონთა ლიგის კი არა, ინგლისის თასის მატჩებზეც გადასარევი ატმოსფეროა, თუნდაც რომელიმე პატარა კლუბი სტუმრობდეს. ცხადია, „ლივერპული“ შინ ფანების მხარდაჭერით საუცხოოდ თამაშობს, მაგრამ „არსენალმა“ შარშან დაამტკიცა, რომ ამ სტადიონზე მოგება შეუძლია, როცა მეტოქე ლიგის და ასოციაციის თასზე ორჯერ დაამარცხა“.

რაფაელ ბენიტესი: „არსენალის“ სათამაშო ყაიდა ყველასთვის ნაცნობია — ბურთს აკონტროლებენ და მოკლე პასებით ცდილობენ შეტევას. ჩვენც ვიცით, როგორ უნდა გავუმკლავდეთ ასეთ ტაქტიკას: როგორც ორ წინა მატჩში, კონტრშეტევაზე ვითამაშებთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მთელი ოჯახი დაპატიჟებულია

**ჩელსი — ფენერბაჰჩე (1:2)**
**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი:** კუდიჩინი; პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული; ბალაკი, მაკელელე, ლამპარდი; ჯ. კოული, დროგბა, კალუ
**მწვრთნელი:** ავრაამ გრანტი
**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი; ონდერი, ლუგანო, ედუ, ვედერსონი; კ. მალდონადო, მეჰმეთი, უღური; ალექსი, დეივიდი, კეჟმანი
**მწვრთნელი:** ზიკო
**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

**ლონდონში** დაბადებულმა, „ფენერბაჰჩეს“ ფორვარდმა კოლინ ქაზიმ რიჩარდსმა ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ მერვედფინალში მეტოქედ ინგლისური კლუბი ინატრა. მერვედფინალში არა, მაგრამ ფეხბურთელს მეოთხედფინალში ნატვრა აუხდა და „ფენერი“ „ჩელსის“ შეხვდა. ერთი კვირის წინ, სტამბოლურ მატჩში „ჩელსი“ მასპინძლებს 1:0-ს უგებდა, შეცვლაზე შესულმა ქაზიმ რიჩარდსმა კი გაათანაბრა.

თურქი ფორვარდის ოჯახი ახლა ლონდონში ცხოვრობს და ფეხბურთელმა დღევანდელი მატჩისთვის მათ ბილეთები უყიდა, რაც 2 500 ევრო დაუჯდა. „ამ თამაშს მოუთმენლად ველი — თქვა ქაზიმ რიჩარდსმა — მე ხომ ლონდონში ვარ დაბადებულ-გაზრდილი და „ფენერბაჰჩეს“ მაისურით „სტემფორდ ბრიჯზე“ თამაში მომიწევდა. ერთბურთიანი უპირატესობა გვაქვს, მაგრამ „ჩელსი“ შინ ძალიან ძლიერია და დიდი ჯაფა დაგვადგება, რომ ეს უპირატესობა შევინარჩუნოთ“. სტამბოლში მეორე გოლის გამტანმა „ფენერის“ ბრაზილიელმა დეივიდმა კი განაცხადა: „ჩელსის“ პატრონი მილიარდერია, მაგრამ ფეხბურთში ფული და სახელები მთავარი არაა. მოედანზე თერთმეტი თერთმეტის წინააღმდეგ ვრჩებით და ის იგებს, ვინც უფრო ძლიერია. ფულით კარგი ფეხბურთელების ყიდვა შეიძლება, კარგი გუნდის გაკეთებას კი სხვა რამ სჭირდება. „სტემფორდ ბრიჯზე“ სიკვდილამდე ვიბრძოლებთ“.

ყოფილმა ჩელსელმა, ახლა კი „ფენერბაჰჩეს“ ფორვარდმა მატეია კეჟმანმა ავრაამ გრანტის გუნდი ასე შეაფასა: „ჩემი აზრით, „ჩელსის“ ჟოზე მაურინიუს მკაცრი ხელი აკლია — პორტუგალიელის მწვრთნელობისას უფრო მტკიცე და დისციპლინირებული იყო. თითოეულმა ფეხბურთელმა საქმე ზედმიწევნით იცოდა, ამჟამად კი ფეხბურთელები თითქოს თავის ნებაზე არიან მიშვებულნი და ამით უნდა ვისარგებლოთ“.

„ფენერბაჰჩემ“ შაბათს ჩემპიონატში „ქაისერისფორი“ 2:1 დაამარცხა, ისევე, როგორც „ჩელსისთან“ 0:1-ს აგებდა, მაგრამ მეორე ტაიმში ალექსმა პენალტით გაათანაბრა, შენთურქმა კი 90-ე წუთზე გაიტანა. ზიკომ მეკარე ვოლქან დემირელი არ ათამაშა, „ჩელსისთვის“ დაასვენა, ხოლო ედუმ მატჩი მსუბუქი ტრავმის გამო გამოტოვა და დღეს ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება. „ფენერს“ კვლავ დააკლდება რობერტო კარლოსი, რომელიც ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა. „მეტოქე უმაღლესი კლასის გუნდია, მაგრამ მათი არ გვეშინია“ — თქვა ზიკომ.

„ჩელსის“ ჩემპიონთა ლიგაში ორ წელზე მეტია, არ წაუგია. ბოლოს „სტემფორდ ბრიჯზე“ „ბარსელონამ“ იმარჯვა 2:1, ეს 2006-ის თებერვალში იყო. ამ ორი წლის განმავლობაში ლონდონელებმა შინ ათიდან შვიდი მატჩი მოიგეს და სამი ფრედ დაასრულეს.

„ფენერბაჰჩე“ კი ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად სუსტია. ჯგუფურ ეტაპზე ბოლოს 2004-ის ნოემბერში პრაღაში „სპარტას“ მოუგო, მას შემდეგ შვიდ გასვლით შეხვედრაში ხუთჯერ დამარცხდა და მეტოქეს ორჯერ დაუზავდა.

„ჩელსი“ თურქულ კლუბებს ევროთასზე შინ ორჯერ ეთამაშა — „გალათასარაის“ 1:0 სძლია, „ბეშიქთაშთან“ კი 0:2 წააგო.

„ფენერბაჰჩე“ ინგლისს ექვსჯერ ეწვია, ოთხჯერ დამარცხდა, ერთი მატჩი ფრედ დაასრულა და ერთიც მოიგო. ეს ერთადერთი გამარჯვება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 1996-ში „მანჩესტერთან“ მოიპოვა.

„ჩელსიმ“ პრემიერლიგაში შაბათს „სიტის“ სტუმრად 2:0 მოუგო. ავრაამ გრანტმა დიდიე დროგბა და



ავრაამ გრანტი: ფეხბურთელობისას ზიკოს ქომაგი ვიყავი

რიკარდუ კარვალიუ დაასვენა. დღეს ორივე ძირითად შემადგენლობაში იქნება. „ფენერბაჰჩე“ ძლიერი გუნდია კარგი მწვრთნელით. ფეხბურთელობისას ზიკოს ქომაგი ვიყავი. მათი დამარცხება იოლი არ იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სასურველი ანგარიშით მოვიგებთ“ — განაცხადა გრანტმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# თუ მოიგებს, წააგებს?



„კარდიფი" თასის ფინალში ჯოი ლედლის გოლმა გაიყვანა

**„კარდიფ სიტის"** საქმე ფრიად უცნაურადაა — ევროპული ფეხბურთის მმართველები ფიქრობენ რა ქნან იმ შემთხვევაში თუ ეს უელსური გუნდი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასს მოიგებს. სავარაუდოდ, კარდიფელებს უეფას თასზე არ დაუშვებენ.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალი 17 მაისს გაიმართება. „კარდიფ სიტი" „პორტსმუთს" უნდა შეხვდეს. თუ უელსელები გაიმარჯვებენ, გახდებიან 1927 წლის შემდეგ პირველი არაინგლისელები, რომლებიც ამ ჯილდოს ალმართავენ, მაგრამ ვაგლახ — ფეხბურთის ასოციაციის წეს-კანონის თანახმად, იმისათვის, რომ უეფას თასზე ითამაშო, თუ უელსელი ბრძანდები, უელსური შეჯიბრების მოგებაა საჭირო.

შეგახსენებთ, რომ კვირას, ნახევარფინალში „კარდიფ სიტიმ" 1:0 „ბარნსლის" მოუგო.

ინგლისური ფეხბურთის მმართველებმა ადრე რამდენჯერმე განაცხადეს, რომ არსებული წესის შეცვლას აპირებენ, მაგრამ, როგორც ხედავთ, საქმე საქმეზე მიდგა, წესი კი კვლავ ძველებური აქვთ. ამასობაში, უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ განაცხადა, რომ სიტუაციის განმუხტვა სურს.

„ჩვენმა პრეზიდენტმა ალმასკომს გამონაკლისზე დაფიქრება სთხოვა — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას უეფას პრესმდივანმა უილიამ გეილარდმა — ჩვენი აზრით, ფრიად სამწუხარო იქნება, თუ უელსური კლუბი ინგლისის თასს მოიგებს, მაგრამ უეფას თასზე მაინც ვერ ითამაშებს. ეს უსამართლობა იქნებოდა".

თუმცა, იმავე გეილარდმა თქვა, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალამდე უეფა არაფერს გადაწყვეტს — ხომ შეიძლება, „პორტსმუთმა" გაიმარჯვოს და პრობლემა ავტომატურად მოიხსნას?

აღსანიშნავია, რომ „კარდიფ სიტი", როგორც უელსის თასის გამარჯვებული, რეგულარულად გამოდიოდა თასების მფლობელთა თასზე.

უელსური გუნდის მწვრთნელი დეივ ჯონსი:

„თუ ჩვენ თასს მოვიპოვებთ ან „პორტსმუთი" პრემიერლიგაში მეექვსე ადგილს დაიკავებს და უეფას თასზე იქიდან გავა, ყველანაირი ლოგიკით ჩვენც გვერგება ევროპულ შეჯიბრებაში მონაწილეობა. პლატინიმ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში მხარს დაგვიჭერს და მართალიც იქნება. უეფას თასზე ჩვენი გაშვება პოლიტიკურადაც ბრძნული ნაბიჯი იქნება, რადგან კარდიფში ორი თუ სამი მილიონი ადამიანი ცხოვრობს და უკლებლივ ყველა გამოვა საპროტესტოდ".

**პაპუნა ძიდია**





# კრისის ნერეიდა

**ნერეიდა გალიარდო,** ასე ჰქვია 24 წლის ესპანელ სტუდენტს, რომელიც მარცხენა ფოტოზეა, ხოლო ჩვენ ეს დიაცი იმიტომ გვაინტერესებს, რომ ის პორტუგალიელი ვარსკვლავის კრიშტიანუ რონალდუს სატრფოა — იანვრიდან მოყოლებული ხვდებიან ერთმანეთს.

მეორე ფოტოზე რონალდუ პრემიერლიგის ბოლო ტურში „მიდლსბროსთან" შეხვედრის დროს არის გადაღებული. ამ შეხვედრაში პორტუგალიელმა გოლი გაიტანა და — დაზუსტებით არის ცნობილი, რომ — ის პირმშვენიერ ნერეიდას მიუძღვნა.

ფეხბურთელის „გულის მურაზი" მოდელიცაა და ლონდონში დაუსწრებლადაც სწავლობს. ინგლისურმა ტაბლოიდებმა იციან, რომ ის კვირაში სამჯერ აჯერხებს სატრფოსთან ჩეშირში ჩასვლასა და დარჩენას. მისმა ერთმა მეგობარმა თქვა, ქალსა და ვაჟს დღედაღამ ერთმანეთი აბოდებთო, მოკლედ, დიდი სიყვარულია. როგორც ჩანს, ეს პორტუგალიურ-ესპანური რომანი ფრიად სერიოზულია.

# შორს, სიდედრო!

**მოყევით** ამის მერე სიდედრებზე ანეკდოტები — დევიდ ბექემმა ვიქტორია ადამის მშობლებს დუბაიში მდებარე 8 მილიონ გირვანქანი ადგილ-მამული აჩუქა. ასე და ამგვარად, ამიერიდან 61 წლის ტონი და 59-ის ჯეკი ადამსები ზღვისპირა ხელოვნურ კუნძულზე გაილაღებენ.

ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს „ზღაპრული ვილა" 2002 წელს უყიდია, მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ 800 ათასი ღირდა, მაგრამ მას მერე დუბაელებმა თავიანთი ქალაქის ტურისტულ ცენტრად ქცევა მოახერხეს და ზემოთ რომ გითხარით, ახლა ეს ყველაფერი 8 მილიონი ღირსო, შეცდომა სულაც არ არის.

სხვა ამბავია, რომ ქალაღდებით კუნძული კვლავ პოშის და ბექჰის იქნება... სამაგიეროდ, სიდედრ-სიმამრს სრული უფლება აქვთ, რაც უნდათ და როგორც უნდათ, ისე გადააკეთ-გადმოაკეთონ.

„დევიდი მიხვდა, რომ დუბაიში დასასვენებლად ვერასოდეს მოიცლის. მას ლოს ანჯელესში აქვს უამრავი საქმე, იქიდან კი არაბეთი მეტისმეტად შორს გახლავთ — განუცხადა ჟურნალისტებს ბექემის მავანმა ამხანაგმა — საკმარისია, თავისუფალი წუთი ჩაუვარდეს, რომ დევიდი იმწუთას ლონდონში მიფრინავს, რადგან სახლი ენატრება. ჰოდა, ვიქტორიასთან თათბირის შემდეგ ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, რომ დუბაის მამული ტონისა და ჯეკისთვის იქნება ზედგამოჭრილი".

**პაპუნა ძიდია**





## პორტუგალია

**სუპერლიგა. XXV ტური**

**ბოავიშტა 0:0 ბენფიკა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 25 | 20 | 3 | 2 | 49:9 | 63 |
| ბენფიკა | 25 | 11 | 12 | 2 | 40:16 | 45 |
| გიმარაეში | 25 | 13 | 6 | 6 | 29:25 | 45 |
| სპორტინგი | 25 | 12 | 7 | 6 | 38:22 | 43 |
| სეტუბალი | 25 | 10 | 11 | 4 | 34:23 | 41 |
| მარიტიმუ | 25 | 10 | 4 | 11 | 28:25 | 34 |
| ბრაგა | 25 | 8 | 10 | 7 | 27:27 | 34 |
| ბელენენსეში | 24 | 8 | 9 | 7 | 25:26 | 33 |
| ნასიონალი | 25 | 8 | 8 | 9 | 18:20 | 32 |
| ბოავიშტა | 25 | 7 | 11 | 7 | 30:37 | 32 |
| ამადორა | 25 | 6 | 10 | 9 | 29:35 | 28 |
| ნავალი | 25 | 7 | 5 | 13 | 20:39 | 26 |
| აკადემიკა | 25 | 4 | 12 | 9 | 23:35 | 24 |
| ლეიშოეში | 24 | 3 | 13 | 8 | 23:29 | 22 |
| ფერეირა | 25 | 5 | 5 | 15 | 25:42 | 20 |
| ლეირია | 25 | 1 | 6 | 18 | 18:46 | 9 |

## მექსიკა

**კლაუსურა**
**XIII ტური**

**ამერიკა 1:1 პაჩუკა**

## არგენტინა

**კლაუსურა. IX ტური**

**ტიგრე 1:5 სან ლორენსო**

## ჩილე

**აპერტურა. XIV ტური**

ანტოფაგასტა — უნივ. დე ჩილე 2:1; ატლეტიკო — ლა სერენა 1:0; ოსორნო — კობრელოა 1:2; რეინჯერსი — მელიპილია 0:1; სან მორნინგი — კობრესალი 2:2; ოჰიგინსი — აუდაქს იტალიანო 3:0; პალესტინო — უნივ. კათოლიკა 1:1

# ხომ არ დაგავიწყდათ სუპერპიპო?

**ბევრს ფილიპო ინძაგი ალბათ გადაავიწყდა კიდეც, მაგრამ სუპერპიპომ, როგორც ყოველთვის, საუკეთესო დრო მონახა თავის შესახსენებლად და სერია A-ს 32-ე ტურის გმირიც გახდა. დანარჩენს channel4.com-ის მორიგი ჩანახატიდან შეიტყობთ**



## გამარჯვებულები

*ფილიპო ინძაგი (მილანი)* — ორთვიანი პაუზის შემდეგ გამოჩენისთაევე დუბლი გაახერხა და „როსონერის" „კალიარისთან" უმნიშვნელოვანესი მატჩი მოაგებინა. „მილანი" კვლავაც იბრძვის ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის, ვეტერან ინძაგის კი ჯერაც ბევრი შეუძლია.

*ამაური (პალერმო)* — ექსკიევოელმა „იუვენტუსთან" გაიბრწყინა და ორი ჩინებული გოლიც გაიტანა. ამაურიმ დაარწმუნა ტურინელები და სხვა გრანდები, რომ ისინი მისით ტყუილად არ დაინტერესებულან.

*ვალტერ ძენგა (კატანია)* — მუშაობა ბრწყინვალედ დაიწყო და სიცილიელებს ახალი სული ჩაჰბერა. ძენგას ჭკვიანურმა ტაქტიკურმა ხლართებმა „ნაპოლისთან" 3:0 გამარჯვებაში ლომის წვლილი შეიტანა.

## დამარცხებულები

*ჟელკო კალაჩი (მილანი)* — კარში იმიტომ ჩააყენეს, რომ დიდა ბოლო პერიოდში ბავშვურ შეცდომებს უშვებდა, მაგრამ კალაჩმა „კალიარისთან" ისე „იყოჩაღა", რომ დიდასაც „შეშურდებოდა". ავსტრალიელმა მოახერხა და ჯარიმიდან დანიელე კონტის სუსტი და უწყინარი დარტყმის მერე ბურთი ვერ დაიჭირა.

*დავიდე დი მიკელე (ტორინო)* — ცუდია, ააცილო აბსოლუტურად დაუცველ კარს, მაგრამ ეს ძალიან პრინციპული მატჩის ბოლო წუთებზე ჩაიდინო და აქედან 40 წამში მეტოქემ აქეთ გაგიტანოს, ცოტა სხვა რამაა.

*რეჯინალდო (პარმა)* — „ლაციოსთან" შეხვედრაში აბსოლუტურად უსუსური გახლდათ. 24 წლის ბრაზილიელის შემხედვარეს, გულიანად გაგეცინებოდა, ვინმეს რომ ეთქვა, მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენო. რეჯინალდო გოლს ალბათ მაინც ვერ გაიტანდა, მატჩი შუაღამემდეც რომ გაგრძელებულიყო.



ალესანდრო დელ პიერო „იუვეს" აბსოლუტური რეკორდსმენია

## გოლები

*მარკო ვუჩინიჩი (რომა)* — ლუჩანო სპალეტიმ უთხრა, დაამტკიცე, რომ ცენტრალურ ფორვარდად თამაში კარგად შეგიძლიაო და... ჩერნოგორიელმა ბურთი რომ მიიღო, „ჯენოას" კარისკენ ზურგით იდგა. მან დაუფიქრებლად, შემობრუნებით დიდებულად დაარტყა და ბურთი შორეულ ცხრიანში ჩაუშვა. აღსანიშნავია, რომ ვუჩინიჩმა ეს ცაციათი შეძლო, არადა, მარცხენა მისი სუსტი ფეხია.

*ამაური* — გოლის მერე ჯანლუიჯი ბუფონის სახე რომ გენახათ, ზედმეტი კომენტარები საჭირო აღარ იქნებოდა. ბრაზილიელმა დაახლოებით 16 მეტრიდან ბრწყინვალე მოჭრილი დარტყმით ბურთი იქ გაგზავნა, სადაც მეკარე ვერაფრით ვერ მიწვდებოდა.

*მატია კასანი (პალერმო)* — კასანიმ 26 მეტრიდან ყუმბარასავით გაისროლა, თან ბუფონი დარტყმის მომენტს ვერ ხედავდა და...

## რიცხვები

**ახალი რეკორდი:** ალესანდრო დელ პიერომ „იუვენტუსის" მაისურით 553-ე მატჩი ჩაატარა და გაეტანო შირეას გაასწრო. ახლა „პინტურიკიო" „ბებერი ქალბატონის" აბსოლუტური რეკორდსმენია როგორც ამ მხრივ, ასევე გატანილი გოლების რაოდენობით.

**თავდაყირა:** მიმდინარე სერია A-ში მეორე ტაიმში გაშვებული გოლების გამო, „პალერმომ" 13 ქულა დაკარგა, „იუვენტუსმა" კი მეორე ტაიმში გატანილი გოლების წყალობით 18 ქულა მოიპოვა. კვირას სიცილიელების მიერ ბოლო წუთებზე შეკვეთებულმა ბურთმა [illegible] რი თავდაყირა დააყენა.

**ფლორესმა „ფრანკის" ჯადო ახსნა:** უდინელმა ანტონიო ფლორეს ფლორესმა „სტადიო არტემიო ფრანკიზე" „სიენას" გოლი გაუტანა და საბოლოოდ მატჩი 1:1 მორჩა. გასაოცარი კი ის არის, რომ ტოსკანელებს საშინაო შეხვედრებში 566 წუთის განმავლობაში გოლი არ გაეშვათ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ინტერმა კბილები გამოაჩინა

**შაბათს** „რომამ" შინ „ჯენოას" 3:2 მოუგო და „ინტერთან" სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა. კვირას კი „ნერაძურის" ბერგამოში „ატალანტასთან" ელოდა რთული სტუმრობა და ბევრს მიაჩნდა, რომ არცთუ კარგ ფორმაში მყოფ მილანელებს კვლავ დაუცდებოდათ ფეხი, მაგრამ...

„ჩვენსა და „რომას" შორის სხვაობა ქულადა იყო და ბევრი თვლიდა, რომ ნერვიულობისგან თავს დავკარგავდით. ამის ნაცვლად ჩვენი ძალა და ხასიათი კიდევ ერთხელ გამოვავლინეთ და ბრწყინვალე ფორმაში მყოფი ძლიერი მეტოქე დამაჯერებლად დავამარცხეთ. ეს მოგება ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იყო. მხოლოდ საკუთარ თამაშზე უნდა ვიყოთ კონცენტრირებულნი" — განაცხადა „ინტერის" არგენტინელმა ნახევარმცველმა ესტებან კამბიასომ.

„ნერაძურის" მწვრთნელი რობერტო მანჩინი: „გვანერვიულებს თუ არა „რომა"? გულწრფელად გეუბნებით — არა. სკუდეტო ჩვენს ხელშია და მთავარია, არ დავკარგოთ, ეს ჩვენზეა დამოკიდებული და არა „რომაზე". წინა სეზონში ჩვენი ფანები ათასგვარი რეკორდით გაბრუვდნენ, მაგრამ ამგვარი რამეები 50 წელიწადში ერთხელ ხდება და ახლა სხვა ვითარებაა. მთავარია, კარგად ვითამაშეთ და მოვიგეთ, თან „ატალანტას" დარ ძლიერ მეტოქესთან. ნახევარმცველები ნელ-ნელა მწყობრში დგებიან და დაცვაშიც მშვენივრად გავისარჯეთ".

„ინტერს" თავდასხმაში არ ჰყავდა ტრავმირებული ზლატან იბრაჰიმოვიჩი და დავიდ სუასო. „მანჩომაც" გადაწყვიტა, გუნდის ახალგაზრდა ვარსკვლავ მარიო ბალოტელისთვის მიეცა შანსი და არც უნანია — მილანელთა ორი გოლიდან ერთი სწორედ მან გაიტანა.

„მარიო ძალიან ნიჭიერი და ახალგაზრდაა. თუ ასე გააგრძელებს, დიდი მომავალი ელის და ჩვენც სწორად დავტვირთავთ" — დასძინა მანჩინიმ.

„სამწუხაროა, რომ ორი ისეთი გოლი გავუშვით; რომელთა თავიდან არიდებაც თავისუფლად შეგვეძლო. „ატალანტასთვის" „ინტერთან" წაგება არახალია, მაგრამ მეტი ყურადღებით თამაში გვმართებდა და ვინ იცის, რა მოხდებოდა. გარდა ამისა, პატრიკ ვიეირას გოლი, წესით, არ უნდა ჩათვლილიყო. იმ ეპიზოდში მაქს პელეგრინოს აშკარად ეუხეშნენ" — ეს კი ბერგამოელთა თავკაც ჯიჯი დელ ნერის სიტყვებია.

**კოკი კანდელაკი**

# სიცილიური თრილერი

**სერია A-ს** 32-ე ტური „პალერმოსა" და „იუვენტუსის" დრამატული მატჩით დამთავრდა. სიცილიელებმა ბოლო წუთებზე გატანილი გოლით ამ, თრილერის მაგვარ შეხვედრაში 3:2 იმარჯვეს, არადა, „ბიანკონერი" უკეთ გამოიყურებოდა და სულ მცირე, ქულას იმსახურებდა.

ტურინელთაგან საუკეთესო გუნდის კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო იყო, რომელმაც დუბლი გაახერხა და ერთხელ ხარიხას გაარტყა ბურთი. ასევე კარგად ითამაშა მოჰამედ სისოკომ, რამაც „იუვეს" მწვრთნელი კლაუდიო რანიერი ძალიან გაახარა.

„მეტოქემ სამჯერ დაარტყა კარში, ჯიჯი ბუფონმა ვერც ერთი ვერ მოიგერია და წავაგეთ. არადა, დიდი შემართებით ვთამაშობდით და მომენტებიც გვქონდა, ვერც ამაურის გოლებმა გაგვტეხა. 0:2-ის მერე თავისუფლად შეიძლებოდა, 4:2 ყოფილიყო ჩვენ სასარგებლოდ, მაგრამ რას იზამ, ეს ფეხბურთია. ბოლომდე ვიბრძოლეთ, სხვანაირად არ შეგვიძლია. შეტევებში წავედით, „პალერმო" საკუთარ კარს მივაჯაჭვეთ, მაგრამ გოლი აქეთ გავუშვით. რაც შეეხება სისოკოს, თავადაც ნახეთ, რა დამაჯერებლად ითამაშა. მას დიდი პოტენციალი აქვს" — თქვა რანიერიმ.

„პალერმოს" მწვრთნელი სტეფანო კოლანტუანო: „პირველ ტაიმში ვდომინირებდით, მაგრამ მეორე ნახევარში „იუვენტუსმა" სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა და შეიძლებოდა, წაგვეგო. საბედნიეროდ, მაინც შევძელით მოგება, რაც ცუდი პერიოდის უკან მოტოვებაში დაგვეხმარება. ახლა „კატანიასთან" სიცილიური დერბისთვის მზად ვართ".



ამაურიმ დუბლი მიითვალა

ბედის ირონიით, „ბებერი ქალბატონის" პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ სწორედ „პალერმოსთან" მატჩამდე, ოფიციალურად დაადასტურა, ამაურით დაინტერესებულნი ვართო და ბრაზილიელმაც „იუვეს" ორი გოლი გაუტანა. ამაური მალე იტალიის მოქალაქეობას მიიღებს და გამორიცხული არ არის, „სკუადრა აძურაშიც" ვიხილოთ.

„მას შეეძლო, სხვა გზები ეპოვა ჩვენთვის თავის მოსაწონებლად" — ღიმილით აღნიშნა რანიერიმ.

ამაური: „სიმართლე რომ ვთქვათ, „იუვენტუსი" მეორე ტაიმში ბრწყინვალე იყო და წაგება არ დაუმსახურებია, მაგრამ ფეხბურთში ასეა: ხან გაგიმართლებს, ხან არა. წინა ტურში „ნაპოლისთან" ბოლო წუთზე წავაგეთ, ახლა კი პირიქით, მატჩის მიწურულს მოვიგეთ. ღვთის წყალობით, დღეს კარგად ვითამაშე და ორი გოლიც გავახერხე, თან „იუვესთვის" აქამდე არ გამეტანა. ვიცი, რომ ტურინელები ჩემით დაინტერესებულნი არიან, მაგრამ ახლა მხოლოდ „პალერმოზე" ვფიქრობ".

დაბოლოს, მატჩის 24-ე წუთზე მასპინძელი რობერტო გუანა და სტუმარი პაველ ნედვედი ერთმანეთს თავებით შეეჯახნენ. ორივე მყისვე შეცვალეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მთელი ღამე გაატარებინეს. საბედნიეროდ, გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ სერიოზული არაფერია და ორივე მწყობრშია. მსგავსი, მაგრამ უფრო მსუბუქი ტრავმა ტიაგუ მენდეშმაც მიიღო, თუმცა მას თავი გადაუხვიეს და პორტუგალიელმა შეხვედრა ასე ჩაამთავრა.

**გიორგი ქაქაბაძე**



კუნ აგეროს (№10) დუბლმა „ალმერიას“ იმედები დაასამარა

# ცხრა გოლი, კიტრი და რასინგი

ესპანური პრიმერის მორიგი ტურის გამორჩეული ამბების მიმოხილვას ტრადიციულად ქვემოთ გთავაზობთ, თუმც რომ წაიკითხავთ, ყურადღებას მიაქცევთ, გრანდებზე, მადრიდის „რეალსა“ და „ბარსელონაზე“ არაფერია ნათქვამი. რატომ? ორივემ უსახური ფრე „გააგორა“ და იმიტომ: „რეალმა“ პალმა დე მალიორკაში 1:1, „ბარსელონამ“ კი შინ „ხეტაფესთან“ 0:0. ცხადია, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო შოთა არველაძის მეორე თამაში იქნებოდა „ლევანტეში“, „ვალიადოლიდათან“ შოთა მწვრთნელმა 73-ე წუთზე შეუშვა მინდორზე მატიე ბერსონის ნაცვლად და ჩვენც ვიმედოვნებთ, ეგებ ესპანელებს მასზე რამე დასცდენოდათ, მაგრამ...

პირენეელთა აზრით, აი, რა იყო პრიმერას 31-ე ტურში გამორჩეული, ინებეთ...

## იყო რვა, გახდა ცხრა

ცხრა გოლი ერთ თამაშში — კვირას მადრიდულ „ვისენტე კალდერონზე“ წლევანდელი ჩემპიონატის ახალი რეკორდი დამყარდა. „ატლეტიკომ“ და „ალმერიამ“ სამი კვირის წინანდელი „მალიორკა“ — „უელვა“ (7:1) მოხსნეს. მე-17 წუთისთვის გუნდებს უკვე 4(!) გოლი ჰქონდათ გატანილი და „ალმერია“ შესვენებაზე 3:4-ით რომ გავიდა, მერელა მიხვდა, რომ მსაჯს მისი ორი ფეხბურთელი გაეძევებინა. თერთმეტნი უძალიანდებოდნენ „ატლეტიკოს“, ცხრამ კი, რა გასაკვირია, ვერაფერი გააწყო. საბოლოოდ — დუბლი კუნ აგეროსგან და 3:6.

## კიტრი ბეტიკო

ახალგაზრდა კასტო ესპინოზა „ბეტისმა“ სეზონის წინ განაცხადში მესამე მეკარედ შეიყვანა, თუმც უკვე ზედიზედ მეხუთე მატჩია, კარში შეუცვლელად დგას, სათადარიგოთა სკამზე კი თვით პორტუგალიის ნაკრების გოლკიპერი რიკარდუ გადასვა. საინტერესო ისიცაა, რომ კასტოს, რაც კარში დგას, ჯერ ბურთი არ გაუშვია. ახლაც, „ბეტისმა“ „სარაგოსას“ სტუმრად 3:0 მოუგო, მეკარემ კი იმისთანა ბურთები აიღო, თქვენი მოწონებული. სარაგოსელებმა შვიდჯერ „დაბომბეს“ ბეტიკო („ბეტისის“ გიჟმაჟმა ფანებმა სწორედ ასე მონათლეს თავიანთი ახალი კერპი), მაგრამ მან შვიდჯერვე ბრწყინვალე ნახტომებით უკუაგდო დარტყმულები, მათ შორის ფრანსელინო მატუზალემის ჯარიმიდან სახიფათოდ გასროლილი... და, რა შუაშია კიტრი? ეს ბოსტნეული, უბრალოდ, „ბეტისის“ მეტსახელია. ხოლო რატომ შეარქვეს ასე, ვერაფერს მოგახსენებთ.

## უიღბლო ჟოანი

„სევილიასთან“ მატჩი, კერძოდ, მასპინძელთა მარჯვენაფლანგელ ნახევარმცველ ხესუს ნავასთან დუელი მწარედ დაამახსოვრდება ვილიარეალელ ჟოან კაპდევილას. ის მარცხენა მცველია, ესპანეთის ნაკრების შეუცვლელი წევრი, მაგრამ გუშინწინ ნავასმა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, თავბედი აწყევლინა. მოკლედ, ნავასმა აიკლო კაპდევილა, მისმა უსწრაფესმა გარღვევებმა და საჯარიმოში ჩაწოდებულებმა ფურიაროხელს არაქათი გამოაცალა და დიეგო კაპელი, სეიდუ კეიტა და ლუიშ ფაბიანო უფრო მარჯვენი რომ ყოფილიყვნენ, მანუელ პელეგრინის „ვილიარეალი“ დიდი ანგარიშით მარცხს ნაღდად ვერ ასცდებოდა. და, თითქოს მეტოქისგან დაჩაგვრა არ ეყოფოდაო, ქვა ალმართში დაეწია — არბიტრმა პერეს ლასამ მატჩის ბოლოსკენ კაპდევილას ხელით თამაში შენიშნა, შენიშნა და მეორედ გასაფრთხილებლად ყვითელი დაუძრო, რომელსაც ავტომატურად წითელი მოჰყვა.

## რასინგი ლიგაში?

კი „იქაჩება“ სამომავლოდ ჩემპიონთა ლიგაში მოახვედრად სანტანდერის „რასინგი“, მაგრამ კვირის თამაშით და მით უფრო, „დეპორტივოსთან“ მარცხით იქ არაფერი ესაქმება. ახლა სანტანდერელებმა მდგომარეობა ერთობ გაირთულეს, მართალია, მარსელინო გარსია ტორალის ბიჭები ცხრილში მეხუთე ადგილზე არიან, მაგრამ სანუკვარ მეოთხე ადგილზე მყოფი „ატლეტიკო“ მათ უკვე 3 ქულით გაექცა, ასევე ლიგაში თამაშის მოსურნე „სევილია“, „ესპანიოლი“ და „ბილბაო“ კი სანტანდერელებს „კუდზე დაასხდნენ“. ლაკორუნიელმა ხისკომ, ვისაც ბოლო ორ მატჩში უკვე 5 გოლი მოუგროვდა, როგორც ჩანს, გაიფიქრა, არ ვიცი, არ მაინტერესებს მათი მიზნები, ჩემი სურვილი „დეპორის“ პრიმერაში დარჩენააო და „რასინგს“ დუბლი მიართვა, ერთიც კიდევ არგენტინელმა მცველმა ფაბრიციო კოლოჩინიმ გაიტანა. „რასინგმა“ წლეულს პირველი თამაში წააგო საკუთარ „ელ სარდინეროზე“.

**გიორგი ვაზაგიძე**

# სპინელი შეთქმულების თეორიას ხედავს

**იტალიურის** „ლივორნოს“ პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ კიდევ ერთხელ საჯაროდ და მკაცრად გააკრიტიკა მსაჯობა და ამ შემთხვევაში არბიტრი რომეო, რომელმაც გასულ უქმეებზე ტოსკანელებისა და „სამპდორიას“ შეხვედრაში რამდენიმე შეცდომა დაუშვა. გენუელებმა 2:0 იმარჯვეს, მაგრამ ძალიან საკამათო ეპიზოდში ფრანჩესკო ტავანოს გოლი რომ არ გაეუქმებინათ, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

„გენუელებთან მატჩში გოლი წაგვართვეს. მსაჯი 70 მეტრის მოშორებით იყო და ტავანოს გოლი მხოლოდ იმიტომ გააუქმა, რომ ეს „სამპდორიას“ მეკარე ლუკა კასტელაციმ მოითხოვა. ხელით თამაში და ჯარიმა არ ყოფილა, ალამი არც ლაინსმენს აუწევია, მაგრამ... მიმდინარე სეზონში მსაჯების უამრავი შეცდომის გამო სერიოზულად ვიზარალეთ. ვიციმეთ, მაგრამ ამის გაჩერება აღარ შეიძლება, ამას უკვე უნებლიე შეცდომები აღარ ჰქვია. როგორც ჩანს, ჩვენი დასჯა და მოშორება გადაწყვიტეს, რადგან პატარა კლუბი ვართ და ვიღაცას გულზე არ ვეხატებით. არ მაინტერესებს, რა სასჯელი ან გამოხმაურება მოჰყვება ჩემს კომენტარებს, უსამართლობასთან მორჩილად შეგუება არ შეიძლება. დღესვე გავგზავნი განცხადებას იტალიის ლიგის წევრობიდან გადადგომის შესახებ. მეც და „ლივორნოსაც“ მეტ პატივს ვიმსახურებთ“ — განაცხადა გაბრაზებულმა სპინელიმ.

**კოკი კანდელაკი**

## ტეილორს ედუარდო უზარია

**„ბირმინგემის“** მცველი მარტინ ტეილორი, რომელმაც არსენალელ ედუარდოს ფეხი მოტეხა, იმედოვნებს, რომ დაზარალებული მალე გამოჯანმრთელდება. „ასეთ საშინელ ტრავმას რომ ნახავ, მხოლოდ იმაზე ფიქრობ, შეძლებს თუ არა ფეხბურთელი კარიერის გაგრძელებას — თქვა მცველმა — გავიგე, რომ ედუარდოს გამოკეთების პროცესი კარგად და სწრაფად მიდის. როცა მოედანზე ვიხილავ, ისევე გავიხარდება, როგორც „არსენალს“ ყველა ფანს.

## მილანმა ბორიელო შეიგულა

**ზაფხულში** „მილანის“ პირველი ახალწვეული შესაძლოა, მარკო ბორიელო გახდეს. „ჯენოას“ ფორვარდმა ამ სეზონში 18 გოლი გაიტანა და სერია A-ს ბომბარდირთა სიას ლიდერობს. ბორიელოზე უფლება ნაწილობრივ „მილანს“ ეკუთვნის, რომელიც 25 წლის თავდამსხმელის ერთი წლით იჯარით წაყვანას აპირებს. სანაცვლოდ „ჯენოას“ ალბათ ალბერტო ჯილარდინოს დაუთმობენ, რომელიც კარლო ანჩელოტის გუნდში ვერ ჩაეწერა.

## ვეისენბეკი რიდს გაარიდეს

**ავსტრიული** „რიდის“ მწვრთნელი თომას ვეისენბეკი მოხსნეს. გუნდმა გასულ უქმეებზე „ტიროლთან“ სტუმრად 0:1 წააგო. ეს იყო ბოლო ექვს ტურში მეხუთე მარცხი და ვეისენბეკიც ამიტომ დაითხოვეს. ამჟამად „რიდი“ 36 ქულით მეშვიდე ადგილზეა.

## ვალბუენათი მოხიბლული

**„მარსელის“** ნახევარმცველით მატიე ვალბუენათი „ზენიტი“ დაინტერესდა. ეს გუნდები ერთმანეთს უეფას თასზე შეხვდნენ და სანკტპეტერბურგელებმა მერვედფინალში ფრანგებს მოუგეს. „ზენიტის“ მწვრთნელი დიკ ადვოკაატი ვალბუენას თამაშით მოიხიბლა, რომელიც ცოტა ხნის წინ საფრანგეთის ნაკრებშიც უხმეს. „ეკიპის“ ცნობით, რუსული კლუბი ფეხბურთელის შეძენას ამ ზაფხულს აპირებს. ნახევარმცველს „მარსელთან“ კონტრაქტი 2009-ში ეწურება.

## პრეზიდენტი მეორე დივიზიონში

**ბოლივიის** პრეზიდენტმა ევო მორალესმა მეორე დივიზიონის „ლიტორალთან“ კონტრაქტი გააფორმა. 47 წლის პრეზიდენტი კლუბმა განაცხადში შეიყვანა, როგორც სათადარიგო. ითამაშებს თუ არა მორალესი როდესმე ამ გუნდში, უცნობია, მაგრამ მას ბევრჯერ გაუგორებია ბურთი საქველმოქმედო მატჩებში. შეგახსენებთ, რომ ფიფამ ბოლივიას დედაქალაქ ლა პასში სანაკრებო ოფიციალური შეხვედრების გამართვა აუკრძალა სიმაღლის გამო, ევო მორალესმა კი ფიფელები არაერთხელ გააკრიტიკა.

## ლაპორტა: მაურინიუ შეცდომაა

**„ბარსელონას“** პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ განაცხადა, რომ ფრანკ რაიკარდს თუ გაუშვებენ, მისი შემცვლელი აუცილებლად შემტევი ფეხბურთის მქადაგებელი უნდა იყოს. „ბარსას“ ბოლოდროინდელმა შედეგებმა ჰოლანდიელ მწვრთნელს სკამი შეურყია და სულ უფრო და უფრო გახშირდა საუბრები მის გათავისუფლებაზე. „ამ გუნდს აქვს საკუთარი სათამაშო ყაიდა, რომელიც არ შეიცვლება. „ბარსელონას“ უყვარს შეტევა და ის, ვინც კანდიდატად ჟოზე მაურინიუს ასახელებს, ცდება“ — თქვა პრეზიდენტმა.

## რონალდინიოს ძმა შემჩნეულია

**რონალდინიოს** ძმა და აგენტი რობერტო ასისი „სიტი“ — „ჩელსის“ მატჩს დაესწრო და ნახეს, რომ იგი ცნობილ აგენტ პინი ზაჰავისთან საუბრობდა. თამაშის შემდეგ რობერტო ასისმა „სიტის“ წარმომადგენლებთან შეხვედრაც გამართა. „გარდიანის“ ცნობით, მანჩესტერული კლუბის პატრონი ტაქსინ შინავატრა რონალდინიოს ყიდვას ლამობს და კვირაში 100 ათას გირვანქაზე მეტს ჰპირდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

## ინგლისი. პრემიერლიგა

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 1 | ვესტ ჰემი-პორტსმუთი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 2 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.65 | 3.60 | 4.85 | 1.13 | 1.23 | 2.06 |
| 18:00 | 3 | ბირმინგემი-ევერტონი | 2.80 | 3.30 | 2.30 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 18:00 | 4 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 18:00 | 7 | დერბი-ასტონ ვილა | 6.60 | 3.70 | 1.50 | 2.37 | 1.22 | 1.06 |
| 19:00 | 11 | მანჩესტერი-არსენალი | 1.90 | 3.30 | 3.90 | 1.20 | 1.27 | 1.78 |
| 20:15 | 12 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 18:00 | 13 | რედინგი-ფულემი | 2.00 | 3.10 | 3.85 | 1.21 | 1.31 | 1.71 |
| 18:00 | 14 | სანდერლენდი-სიტი | 2.05 | 3.20 | 3.45 | 1.24 | 1.28 | 1.66 |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 16:30 | 9 | ლივერპული-ბლექბერნი | 1.50 | 3.70 | 6.80 | 1.06 | 1.22 | 2.39 |
| | | 14 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 5 | ჩელსი-უიგანი | 1.25 | 5.20 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.53 |

## ინგლისი. ჩემპიონატი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 17 | შეფილდი-უენსდი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 16 | უოტფორდი-ბარნსლი | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 22:45 | 18 | იფსვიჩი-კარდიფი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |

## ინგლისი. I ლიგა

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 31 | კარლაილი-სუონსი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 22:45 | 32 | ნოტინგემი-როვერსი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 22:45 | 33 | საუთენდი-ბრაიტონი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |

## ინგლისი. II ლიგა

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 45 | ბრედფორდი-ბარნეტი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 22:45 | 46 | დონსი-რექსემი | 1.35 | 4.40 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.77 |
| 22:45 | 47 | მორიკომბი-შრიუსბერი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 22:45 | 48 | როჩდეილი-ნოტსი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 49 | სტოკპორტი-მენსფილდი | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |

## ინგლისი. კონფერენსი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 62 | უოკინგი-სტივენეიჯი | 2.70 | 3.30 | 2.30 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 22:45 | 63 | ბარტონი-ალტრინჰემი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 22:45 | 64 | სტეფორდი-იორკი | 3.10 | 3.30 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| 22:45 | 65 | ჰისტონი-ქროული | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 22:45 | 66 | სალისბერი-ექსეტერი | 2.55 | 3.30 | 2.45 | 1.43 | 1.24 | 1.40 |
| 22:45 | 67 | ვეიმუთი-გრეისი | 2.45 | 3.40 | 2.55 | 1.42 | 1.24 | 1.45 |
| 22:45 | 68 | ჰალიფაქსი-კიდერმინსტერი | 2.25 | 3.40 | 2.80 | 1.35 | 1.24 | 1.53 |
| 22:45 | 69 | ფარსლი-დროილსდენი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 22:45 | 70 | ტორკი-ოქსფორდი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 22:45 | 71 | რაშდენი -კემბრიჯი | 2.70 | 3.30 | 2.30 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 22:45 | 72 | ებსფლითი-ალდერშოტი | 3.30 | 3.30 | 2.00 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| 22:45 | 73 | ნორთვიჩი-ფორესტ გრინი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |

## გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 21:30 | 688 | ვუპერტალი-ბრაუნშვაიგი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |

## გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 21:30 | 195 | ფულენდორფი-რეგენსბურგი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |

## შვეიცარია. ჩელენჯლიგა

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 21:45 | 690 | გოსაუ-ვილი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |

## ესპანეთი. I დივიზიონი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 280 | უელვა-ბარსელონა | 4.90 | 3.20 | 1.70 | 1.93 | 1.26 | 1.11 |
| 22:00 | 284 | ვალენსია-რასინგი | 2.20 | 3.00 | 3.10 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| | | 13 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 275 | ალმერია-ვილიარეალი | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| 19:00 | 277 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 2.80 | 3.00 | 2.40 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| 19:00 | 278 | ბეტისი-ლევანტე | 1.50 | 3.60 | 6.40 | 1.05 | 1.21 | 2.30 |
| 19:00 | 279 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.95 | 3.10 | 3.60 | 1.19 | 1.26 | 1.66 |
| 19:00 | 282 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1.95 | 3.10 | 3.60 | 1.19 | 1.26 | 1.66 |
| 19:00 | 283 | დეპორტივო-ბილბაო | 2.15 | 3.00 | 3.30 | 1.25 | 1.30 | 1.57 |
| 21:00 | 285 | რეალი-მურსია | 1.15 | 5.40 | 16.50 | 1.00 | 1.07 | 4.06 |
| 19:00 | 287 | მალიორკა-სევილია | 2.35 | 3.10 | 2.80 | 1.33 | 1.27 | 1.47 |

## საფრანგეთი. I დივიზიონი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 20:30 | 689 | სტ.ეტიენი-ლანსი | 1.95 | 3.00 | 3.80 | 1.18 | 1.28 | 1.67 |

## საფრანგეთი. II დივიზიონი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 აპრილი | | | | | | |
| 22:30 | 312 | მონპელიე-ბასტია | 2.15 | 2.90 | 3.40 | 1.23 | 1.31 | 1.56 |

## ჩემპიონთა ლიგა

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 87 | ჩელსი-ფენერბაჩე | 1.35 | 4.90 | 8.20 | 1.05 | 1.15 | 3.06 |
| 22:45 | 88 | ლივერპული-არსენალი | 2.45 | 3.00 | 3.00 | 1.34 | 1.34 | 1.50 |
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 22:45 | 89 | ბარსელონა-შალკე | 1.45 | 4.00 | 8.00 | 1.06 | 1.22 | 2.66 |
| 22:45 | 90 | მანჩესტერი-რომა | 1.70 | 3.40 | 5.20 | 1.13 | 1.28 | 2.05 |

## უეფას თასი

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 აპრილი | | | | | | |
| 20:30 | 91 | ზენიტი-ლევერკუზენი | 1.95 | 3.40 | 3.50 | 1.23 | 1.25 | 1.72 |
| 22:45 | 92 | ხეტაფე-ბაიერნი | 3.25 | 3.10 | 2.15 | 1.58 | 1.29 | 1.26 |
| 22:45 | 93 | პსვ-ფიორენტინა | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 22:45 | 94 | სპორტინგი-რეინჯერსი | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |

## შერეული

| დრო | № | მატჩი | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 17:30 | 108 | ლოკომოტივი (ს)-ლიტექსი | 2.60 | 3.10 | 2.35 | 1.41 | 1.23 | 1.33 |
| 20:00 | 121 | დაჩია-გლორია | 1.75 | 3.20 | 3.85 | 1.13 | 1.20 | 1.74 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 122 | არადი-ფარული | 2.20 | 3.00 | 2.95 | 1.26 | 1.26 | 1.48 |
| 17:00 | 123 | უნირია-კლუჟი | 2.85 | 3.00 | 2.25 | 1.46 | 1.25 | 1.28 |
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 14:00 | 109 | ჩერნომორეცი-არსენალი(კ) | 2.00 | 3.00 | 3.30 | 1.20 | 1.24 | 1.57 |
| 14:00 | 110 | დნეპრი-შახტარი | 3.80 | 3.10 | 1.80 | 1.70 | 1.22 | 1.13 |
| 14:00 | 111 | დინამო-ტავრია | 1.25 | 4.30 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 2.96 |
| | | დანია. თასი | | | | | | |
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 20:15 | 686 | ბრიონდბიუ-მიდტიულანდი | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |
| 20:45 | 687 | კოპენჰაგენი-ერსბიერგი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 691 | სან ხოსე-კუკუტა | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 23:45 | 692 | ატლასი-ბოკა ხუნიორსი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 23:45 | 693 | ლიბერტადი-კუიტო | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 694 | არსენალი-ფლუმინენსე | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 23:45 | 695 | ჩივასი-სანტოსი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 696 | სიენსიანო-ფლამენგო | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | 10 აპრილი | | | | | | |
| 23:45 | 697 | კოლო კოლო-მარაკაიბო | 1.22 | 5.50 | 9.00 | 1.00 | 1.07 | 3.41 |
| 23:45 | 698 | აუდასი-სან პაულო | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 699 | სპ. ლუკუენო-ატლ.ნასიონალი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 20:15 | 124 | ცსკა-ოლიმპიაკოსი | 1.12 | 12.00 | 5.50 | 1.02 | 1.00 | 3.77 |
| 22:30 | 125 | ტაუ-პარტიზანი | 1.20 | 12.00 | 4.30 | 1.09 | 1.00 | 3.16 |
| | | 10 აპრილი | | | | | | |
| 21:00 | 126 | მაკაბი-ბარსელონა | 1.30 | 12.00 | 3.20 | 1.17 | 1.00 | 2.52 |
| | | ხელბურთი.კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 22:15 | 112 | კილი-ლიუბეკი | 1.01 | 12.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 6.00 |
| 22:15 | 113 | ვილჰელმშავენი-ნორდჰორნი | 6.70 | 12.00 | 1.10 | 4.29 | 1.00 | 1.00 |
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 22:15 | 114 | გუმერსბახი-ბერლინი | 1.04 | 12.00 | 8.50 | 1.00 | 1.00 | 4.97 |
| 22:15 | 115 | რეინ ნეკარი-მელსუნგენი | 1.03 | 12.00 | 10.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| | | ხელბურთი.კაცები დანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 19:30 | 116 | ფსკ-სკანდერბორგი | 1.02 | 12.00 | 13.00 | 1.00 | 1.00 | 6.23 |
| | | 12 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 117 | სილკენბორგი-ააბ | 1.25 | 10.00 | 3.80 | 1.11 | 1.00 | 2.75 |
| 18:00 | 118 | მორსი-კოლდინგი | 9.00 | 11.00 | 1.04 | 4.94 | 1.00 | 1.00 |
| 18:00 | 119 | ნორდსიელანდი-ორჰუსი | 4.00 | 11.00 | 1.20 | 2.93 | 1.00 | 1.08 |
| 18:00 | 120 | რინგსტედი-სვენდბორგი | 9.00 | 11.00 | 1.05 | 4.94 | 1.00 | 1.00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10087 | ჩელსი-ფენერბაჰჩე | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10088 | ლივერპული-არსენალი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10089 | ბარსელონა-შალკე | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10090 | მანჩესტერი-რომა | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10092 | ხეტაფე-ბაიერნი | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10093 | პსვ-ფიორენტინა | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11087 | ჩელსი-ფენერბაჰჩე | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11088 | ლივერპული-არსენალი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11089 | ბარსელონა-შალკე | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11090 | მანჩესტერი-რომა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11092 | ხეტაფე-ბაიერნი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11093 | პსვ-ფიორენტინა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15088 | ლივერპული-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15090 | მანჩესტერი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15092 | ხეტაფე-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | პსვ-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრის გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16088 | ლივერპული-არსენალი | 1.75 | 1.85 |
| 16090 | მანჩესტერი-რომა | 1.23 | 3.60 |
| 16091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 1.34 | 2.80 |
| 16092 | ხეტაფე-ბაიერნი | 2.20 | 1.52 |
| 16093 | პსვ-ფიორენტინა | 1.50 | 2.30 |
| 16094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 1.32 | 3.00 |

### გოლი:უგოლო-1ის ჰენდი-2 (0:0 ითვლება უგოლოდ)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17087 | ჩელსი-ფენერბაჰჩე | 1.85 | 1.95 |
| 17088 | ლივერპული-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17089 | ბარსელონა-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17090 | მანჩესტერი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17092 | ხეტაფე-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17093 | პსვ-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ვარიანტი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14087 | ჩელსი-ფენერბაჰჩე | 1.20 | 2.60 |
| 14088 | ლივერპული-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 14090 | მანჩესტერი-რომა | 1.45 | 2.40 |
| 14091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 1.70 | 2.20 |
| 14092 | ხეტაფე-ბაიერნი | 2.00 | 1.80 |
| 14093 | პსვ-ფიორენტინა | 1.75 | 2.10 |
| 14094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 1.65 | 2.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12087 | ჩელსი-ფენერბაჰჩე | 1.90 | 1.70 |
| 12088 | ლივერპული-არსენალი | 1.60 | 2.00 |
| 12089 | ბარსელონა-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12090 | მანჩესტერი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 2.10 | 1.60 |
| 12092 | ხეტაფე-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 12093 | პსვ-ფიორენტინა | 1.55 | 2.20 |
| 12094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 1.60 | 2.10 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13087 | ჩელსი-ფენერბაჰჩე | 1.90 | 1.70 |
| 13088 | ლივერპული-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13089 | ბარსელონა-შალკე | 1.90 | 1.70 |
| 13090 | მანჩესტერი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 1.55 | 2.10 |
| 13092 | ხეტაფე-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13093 | პსვ-ფიორენტინა | 1.90 | 1.70 |
| 13094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18087 | ჩელსი-ფენერბაჰჩე | 1.30 | 2.90 |
| 18088 | ლივერპული-არსენალი | 1.60 | 2.10 |
| 18089 | ბარსელონა-შალკე | 1.05 | 8.50 |
| 18090 | მანჩესტერი-რომა | 1.02 | 12.00 |
| 18091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 1.02 | 12.00 |
| 18092 | ხეტაფე-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 18093 | პსვ-ფიორენტინა | 1.50 | 2.40 |
| 18094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |

კვარციტი QUARTZITE


ტკბილი მოგონებები: ლევან ცაბაძე და კლოდ სორელი

[illegible] ფოტო

კლოდ სორელს გუშინ შევეხმიანეთ, როდესაც საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ რუსთა გაფართოებულ შემადგენლობას წერდა — სორელმა დაგვიდასტურა, რომ აქამდე გამოქვეყნებული შემადგენლობა ზუსტი არ იყო.

რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც: 12 აპრილს 2007-08 წლების ერთა თასის ფინალის ტოლფასი მატჩია — რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ.

შეხსენება არც იმას უნდა, რომ კლოდ სორელი ადრე საქართველოს ნაკრებს წვრთნიდა და მსოფლიოს თასზე პირველად სწორედ მან გაიყვანა, ახლა კი ჩვენი მთავარი მეტოქის თავკაცია...

# რუსეთი საკუთარ თავს და საქართველოს უნდა გადაახტეს

— რუსეთ — საქართველო აქამდეც პრინციპული დაპირისპირება იყო, ახლა კი ევროპის ერთა თასის გადამწყვეტი მატჩიცაა. თქვენ, როგორც საქართველოს ნაკრების ყოფილი და ახლა რუსეთის ნაკრების მწვრთნელი ყველაზე კარგად ხართ გარკვეული ვითარებაში...

— რა თქმა უნდა, ვიცი და ჩათვალეთ, რომ ეს იქნება ერთა თასზე ყველაზე პრინციპული და საინტერესო მატჩი. მე, როგორც პროფესიონალი მწვრთნელი, ყველანაირად ვეცდები, საქართველოს ნაკრების სუსტი წერტილები გამოვიყენო და მატჩი ჩვენთვის სასურველი შედეგით დავასრულოთ.

— სუსტ წერტილებში საქართველოს ნაკრების შესუსტებულ შემადგენლობას გულისხმობთ?

— მე არ ვიცი, რატომ არ გამოუშვეს ფრანგულმა კლუბებმა წამყვანი ლეგიონერები. ასეთ პრობლემას მეც ვაწყდებოდი, როდესაც საქართველოში ვმუშაობდი. სხვათა შორის, საქართველოსთან მატჩისთვის ექვსი ახალბედა მორკინალი გამოვიძახე, რომლებისთვისაც საქართველოს ნაკრები ავტორიტეტია და, ცოტა რა იყოს, მორიდებით უყურებენ.

— და მაინც, რუსეთის ნაკრებს ახლა ალმასვლა აქვს. ერთა თასის ჩემპიონიც ამ მატჩში ირკვევა. ფავორიტი რუსეთია?

— ასე არ ვფიქრობ. მიუხედავად წარმატებული მატჩებისა, რუსეთი თავის თავს უნდა გადაახტეს, რომ საქართველოს მოუგოს. ძალიან მსურდა, ქართველები ძირითადი შემადგენლობით ჩამოსულიყვნენ და ჩვენ გაგვემარჯვა. ამით დავამტკიცებდით, რომ რუსული რაგბი სწორი მიმართულებით ვითარდება. ვფიქრობ, რუსეთის ნაკრებმა გაიარა გზა, რომელმაც მსოფლიოს თასზე უნდა გაიყვანოს. საქართველოს ნაკრებს ვუყურებ, როგორც ყველაზე მკაცრ გამომცდელს ამ საქმეში. რადგან აქამდე ჩვენ ქართველების დარ სერიოზულ გუნდს არ შევხვედრივართ.

— საქართველოს ნაკრებში მთავარი მწვრთნელის ასისტენტად ახლა ლევან ცაბაძე მუშაობს, რომელიც მსოფლიოს თასზე არ წაიყვანეთ და ამით ურთიერთობა დაგეძაბათ. საინტერესოა, როგორ შეხვდებით მას...

— როგორც მწვრთნელს, „ლეონსიოს" დიდი პოტენციალი აქვს. დიდი სიამოვნებით შევხვდები და გულწრფელად ვუსურვებ წარმატებას. იმედი მაქვს, ისიც ასევე შემხვდება და ასევე ფიქრობს.

— ჩვენ მაინც გკითხავთ, თუ საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა, რუსული რაგბისთვის მძიმე დარტყმა იქნება?

— მეც გაგიმეორებთ. ფავორიტი საქართველოა, რადგან მსოფლიოს თასზე მაგრად ითამაშა. გააჩნია უამრავი უსაზღვრო რესურსი და შესაძლებლობა. რუსეთში კი ახლა ვიწყებთ გუნდის კეთებას. მე მიხარია, რომ ჩემი გუნდი სწორედ საქართველოსთან გამოიცდება — იმ საქართველოსთან, სადაც უამრავი დაუვიწყარი წელი მიმუშავია და ძალიან მიყვარს.

— როდესაც შარშან რუსეთის ნაკრები თბილისში ჩამოიყვანეთ, მაშინ თქვით, რომ საქართველოში ალარავის დაჭირდით. აქედან გულდაწყვეტილი წახვედით?

— მე პროფესიონალი მწვრთნელი ვარ, სადაც სამუშაოს შემომთავაზებენ და დავთანხმდები, იქ ბოლომდე უნდა ამოვწურო ჩემი თავი. მე, შეიძლება, მინდოდა საქართველოში დარჩენა, თუმც ამის პერსპექტივა ვერც დავინახეთ, მაგრამ ჩემი გულიდან საქართველოს ვერავინ ამოშლის. საქართველო ძალიან მიყვარს, მიყვარს ჩემი ქართველი მეგობრები, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გული ძალიან დამწყდა, რომ თქვენგან წამოსვლა მომიხდა. მაგრამ ჩამოსვლა ყოველთვის მინდა და ჩათვალეთ, რომ ყოველთვის სასურველი სტუმარი ვიქნები.

**ბაჩო სვანიძე**

## ჰაინეკენის თასი
### მეოთხედფინალი. 5-6 აპრ[illegible]

# შელსური დრაკონისგან ქმრცლიც აღარ დარჩა

**სარასენზი 19:10 ოსფრისი**
**სარასენზი:** 1ლ: ლაიონელი; 1გ: ჯექსონი; 3ს: ჯექსონი; 1ა: ჯექსონი
**ოსფრისი:** 1ლ: ჯეიმსი; 1გ: ჰუკი; 1ს: ჰუკი
**ტულუზი 41:17 კარდიფ ბლუზი**
**ტულუზი:** 4ლ: მედარდი, კანავოე, კლერკი, ბუილუ; 3გ: ელისალდი; 3ს: ელისალდი; 2ა: ელისალდი, ემონსი
**კარდიფ ბლუზი:** 2ლ: სპეისი, ბლეირი; 2გ: ბლეირი; 2ს: ბლეირი
**ლონდონ აირიში 20:9 პერპინიანი**
**ლონდონ აირიში:** 1ლ: დანაპეი; 5ს: პეივანტი
**პერპინიანი:** 3ს: მონტგომერი
**გლოსტერი 3:16 მანსტერი**
**გლოსტერი:** 1ს: ლამბი
**მანსტერი:** 2ლ: დულინგი, ჰაულეტი; 2ს: ოჰარა

**გასულ** უქმეებზე განახლდა ჰაინეკენის თასის გათამაშება. ტურნირმა მეოთხედფინალურ ჯახებს უწია და რაღა თქმა უნდა, იმატა ინტრიგამ და დაძაბულობამ.

ოთხი მატჩი ორ დღეზე გადანაწილდა და მათგან ყველაზე საინტერესო გამოდგა ლონდონის „სარასენზისა" და უელსის „ოსფრისის" შეხვედრა. უელსის ნაკრების მორაგბეებით გადაჭედილ „ოსფრისში" ბევრი წლევანდელი ექვსი ერის ტრიუმფატორი რაგბობს და ლონდონში სტუმრობისდა მიუხედავად ფავორიტად ეს გუნდი მოიაზრებოდა. ანგარიშიც სწორედ უელსელებმა გახსნეს ჯეიმს ჰუკის საჯარიმოთი, მაგრამ ეს იყო და ეს, 75 წუთამდე მათ ბურთი ხეირიანად ალარც უნახავთ. მასპინძლები გლენ ჯექსონის ზუსტი საჯარიმოების წყალობით პირველივე ტაიმში დაწინაურდნენ. შესვლაზე შესულმა ფრანცისკო ლაიონელმა 42-ე წუთზე ლელოც გაუტანა სტუმრებს, ამ ყველაფერს იმავე ჯექსონმა გარდასახვა, საჯარიმო და არეკნიც დაურთო, რასაც „ოსფრისმა" პოლ ჯეიმსის [illegible] ლელოთი უპასუხა, მაგრამ, ვაგლახ, ეს საკმარისი არ [illegible] გამარჯვებისთვის.

„სარასენზის" მზარდამხარ[illegible] [illegible]ჯვა მეორე ლონდონურმა კლუბმა „ლონდონ აირიშმაც". ფრანგულმა „ტულუზმა" კი სახლში კიდევ ერთი უელსელი, „კარდიფ ბლუზი" მიიღო და პირწმინდად დაჩაგრა. კარდიფელ „მუსიკოსებთა" რბევა პირველივე წუთიდან დაიწყო მაქსიმ მედარდმა. მის ლელოს ჟან-ბაპტის ელისალდმა საჯარიმოები მიაყოლა და გამარჯვებულის ვინაობაც [illegible]რეულადვე გაირკვა. სამოყვარულო [illegible]ნგებმა საკმაოდ ადვილად მოიგეს და თუ ასე გააგრძელეს, „ტულუზის" თანავარსკვლავედის ჩაქრობა ნებისმიერ ევროგრანდს გაუჭირდება.

მეოთხე მატჩში ირლანდიის სიამაყე „მანსტერმა" შანსი არ დაუტოვა ინგლისურ „გლოსტერს". სტუმართაგან დიდებულად გაისარჯა ირლანდიის ნაკრების გამთამაშებელი რონან ოჰარა. წლევანდელ ირლანდიელებს ახალზელანდიელი ვარსკვლავი და ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მელელოვე დაგ ჰაულეტიც უმაგრებს უკანა ხაზს, რითაც ისედაც ზემძლავრი გუნდი შეტევაში უფრო აგრესიული გახადა. ჰაულეტმა ამ შეხვედრაში ლელოც შეაწია თანაგუნდელებს.

**ზურაბ მიგრიაული**

## ზე-14 2008

# ზვიგენს მსუყე ლუკმა აწაპნეს

**ჰაილენდერზი 29:20 ლაიონზი**
**ბრამბიზი 28:42 ჩიფსი**
**ფორსი 15:14 ბულზი**
**ჰარიკანზი 13:13 შარქსი**
**ვარათაზი 37:16 ბლუზი**
**ჩიტაზი 29:14 რედზი**

ზე-14-ის მერვე ტურში ტურნირის ერთპიროვნულმა ლიდერმა „კრუზეიდერზმა" „შტორმერზთან" ერთად დაისვენა. ცხრილში მეორე „შარკსსაც" პირველადგილოსანთან გამარჯვებების რაოდენობით გათანაბრების შანსი გაუჩნდა, მაგრამ დურბანელებმა ახალ ზელანდიაში „ჰარიკაზნთან" უდაძაბულესი შეხვედრაში მხოლოდ ფრე მოიმკეს. ნერვებისდამწყვეტ მატჩში დროის ამოწურვამდე 8 წუთით ადრე 6:6 ანგარიშზე არბიტრმა პოლ მარკსმა საეჭვო საჯარიმო ლელოთი დასაჯა მასპინძლები. გარდასახვა კი ზუსტად ფრანს შტეინმა შეასრულა. თითქოს „ზვიგენებს" მორიგი გამარჯვება უნდა ეზეიმათ, მაგრამ გულშემატკივრების შეძახილებით გავეშებული ახალზელანდიელები ხელდახელ მიეძალნენ მეტოქეს. მორკინალმა ენდრიუ ჰორიმ შეტევა ლელოთი დაასრულა, ჯიმი გოპერდმა კი გარდასახვა გამოიყენა და ანგარიშიც მეორედ და საბოლოოდ გათანაბრდა.

პრეტორიულ „ბულზს" ბრაიან ჰაბანას დაბრუნებამაც კი ვერ უშველა. ჩემპიონებმა დასანანი მარცხი იწვნიეს ავსტრალიურ „ფორსთან". არადა, შეხვედრის დასაწყისი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა. პირველ ნახევარში „ხარები" ჰაბანას ორი ლელოს წყალობით ლიდერობდნენ და ნაადრევადაც ზეიმობდნენ პირველ გასვლით გამარჯვებას, მაგრამ სადღეეები ხელში ოზმა მეტ ყოტუამ აიღო და გამარჯვების ლელოც მოუტანა მასპინძლებს.

**ზურაბ მიგრიაული**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეიდერზი | 7 | 7 | 0 | 0 | +175 | 5 | 33 |
| შარქსი | 7 | 6 | 1 | 0 | +48 | 1 | 27 |
| ბლუზი | 8 | 5 | 0 | 3 | +56 | 4 | 24 |
| ჩიფსი | 8 | 5 | 0 | 3 | +3 | 3 | 23 |
| ფორსი | 8 | 5 | 0 | 3 | -6 | 3 | 23 |
| ვარათაზი | 7 | 5 | 0 | 2 | +22 | 2 | 22 |
| ჰარიკანზი | 7 | 4 | 1 | 2 | +23 | 3 | 21 |
| შტორმერზი | 7 | 3 | 0 | 4 | +9 | 6 | 18 |
| ბრამბიზი | 7 | 3 | 0 | 4 | +9 | 6 | 18 |
| რედზი | 8 | 2 | 1 | 5 | -44 | 2 | 12 |
| ჩიტაზი | 8 | 1 | 0 | 7 | -77 | 7 | 11 |
| ჰაილენდერზი | 7 | 1 | 0 | 6 | -29 | 6 | 10 |
| ბულზი | 8 | 2 | 0 | 6 | -79 | 2 | 10 |
| ლაიონზი | 7 | 1 | 1 | 5 | -77 | 1 | 7 |

## geo_geo_fan@hotmail.com

**DATO-GUGAVA:** 12 აპრილს უმნიშვნელოვანესი დღეა... საქართველომ კიდევ ერთხელ უნდა გაიბრწყინოს... კიდევ ერთხელ, სისხლი აგვიდუღოს ჩვენც და ყმაწვილებს, უფრო და უფრო ხშირად რომ ჩანან სამეზობლო მოედნებზე ოვალური ბურთით ხელში... მოუთმენლად ველით შაბათს... ველით კანონზომიერი იმედითა და გახშირებული პულსით... გარდა იმისა, რომ მეტოქე რუსეთია და ამით ყველაფერია ნათქვამი, ამ მატჩში ევროპის ერთა თასის ბედიც წყდება: გამარჯვებული, 2007-2008 წლების ერთა თასის მფლობელი, ევროპის მეშვიდე გუნდი და ამასთან, მსოფლიო რაგბის ელიტის თვალში პრესტიჟულობის მფლობელიც ხდება...

აღნიშნულ ვითარებაში, სრული იმედი გვქონდა, რომ პრინციპული მატჩისთვის, რაგბის კავშირი და გუნდის ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებდა საუკეთესო და გამობრძმედილი მოთამაშეების ჩამოსაყვანად... წინა სამატჩო პერიპეტიებისა და გუნდის შემადგენლობის განაცხადის გაცნობის შემდეგ კი, გაჩნდა კითხვები, რომლებზეც პასუხი, ვფიქრობ, ბევრს აინტერესებს...

ირაკლი გიორგაძის ტრავმა ძალიან დასანანია... მაგრამ რას ნიშნავს, ის ფაქტი, რომ თურმე კლუბები არ უშვებენ ზირაქაშვილს და მაჩხანელს (საქართველოს 2007 წლის საუკეთესო მორაგბეს) ეროვნული ნაკრების სეზონის გადამწყვეტ მატჩში, რომელშიც ევროპის ერთა თასის მფლობელი უნდა გამოვლინდეს... ნუთუ კავშირმა მოლაპარაკებების ყველა რესურსი ამოწურა?

საერთოდ ასად არ არის ნახსენები და ვერსად ვერ ამოვიკითხე, რა ბედის ეწიათ და რატომ არ არიან გუნდის განაცხადში ჩვენი, ყველა დროის საუკეთესო ჰუქერი აქვსენტი გიორგაძე, შარშანდელი სეზონის ერთ-ერთი ვარსკვლავი ბესიკ უდესიანი, რუსების ტრადიციული რისხვა მალხაზ ურჯუკაშვილი, „ანტილოპა" ბესიკ ხამაშურიძე და გამოცდილი ვეტერანი გია ლაბაძე.

მსოფლიო თასის ზემოხსენიებული 7-8 უძლიერესი მონაწილის გარეშე, კრასნოიარსკში შესაძლოა, მოგება გართულდეს... იქნებ, რამე მოვიმოქმედოთ დროზე...

საქართველოს გამარჯვება სჭირდება!

geo_geo_fan@hotmail.com

## ჭიდაობა

# სულ თქვენ ხომ არ უნდა მოიგოთ?!
## ბულგარელ მსაჯს ქართული მედლები ეზევრა



*ფინურ ტამპერეში 1-6 აპრილს გამართულ ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა მშვენიერი შედეგი აჩვენეს, 2 ოქროსა და 2 ვერცხლის მედლის გარდა 3 საპეკინო ლიცენზიაც დაისაკუთრეს. შევახსენებთ, ფინეთში ჩემპიონები გიორგი გოგშელიძე (96კგ) და დავით მოძმანაშვილი (120კგ) გახდნენ, ვერცხლი კი კობა კაკალაძემ (66კგ) და რევაზ მინდორაშვილმა (84კგ) მოიპოვეს. ქართველი ქომაგი მოჭიდავეებისგან მედლებით განებივრებულია, თუმც ამხელა წარმატებას ბევრი არც ელოდა. სხვა თუ არაფერი, ოლიმპიადა კარს არის მომდგარი და ერთი, რომ სალიცენზიოდ გააფთრებული ბრძოლები მიდის და მეორეც, ყველა ფალავანი საკუთარი თავის დამკვიდრებას ცდილობს ეროვნულ გუნდში და ამისთვის მაქსიმუმს აკეთებს. სწორედ ამიტომაც თავისუფლების ასეთი გამოსვლა ორმაგად ფასობს. ნაკრებს ახლა საოლიმპიადოდ 2 ლიცენზია დარჩა მოსაპოვებელი მსუბუქ წონებში (55 და 60 კილოგრამებში) და ამის გაკეთებას აპრილში შვეიცარიასა და პოლონეთში სალიცენზიო ტურნირებზე ეცდება. ამ ეტაპზე ერთადერთი ქვეყანა რუსეთია, რომელსაც შვიდივე წონაში აქვს ჩინეთის საგზური. ჩვენ მსგავსად 5 ლიცენზია კი რამდენიმე ნაკრებს მოუპოვებია.*
*გუშინ ნაკრების თავკაც* **ზაზა თურმანიძეს** *განვლილ ევროპის ჩემპიონატზე და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ...*

— 55 კგ-ში ბესო გუჩაშვილმა ერთი შეხვედრა მოიგო და მერე ბულგარელ მსოფლიოს ჩემპიონ რადოსლავველიკოვთან წააგო. თავის მხრივ ბულგარელიც დამარცხდა და გუჩაშვილს ბრძოლის გაგრძელების საშუალება აღარ მიეცა.

60კგ-ში მიხეილ ქურდიანმა თავიდან ორი მეტოქე ჩამოიცილა და დამამშვიდებელშიც იჭიდავა. ამ წონებში ლიცენზიას ევროპაზე დარწმუნებით არ ველოდით, თუმც არა უშავს, წინ შვეიცარიის და პოლონეთის ტურნირებია. ჩვენ აქამდე სალიცენზიო ტურნირზე არ გვიჭიდავია და ხუთი ლიცენზია ისე მოვიპოვეთ.

— შვეიცარიასა და პოლონეთშიც გუჩაშვილი და ქურდიანი იჭიდავებენ?

— დიახ, ამ ეტაპზე ეს ბიჭები გამოვლენ და იქ საგზურის მოპოვების კარგი შანსიც ექნებათ. ერთგან საუკეთესო ოთხეული მიიღებს ლიცენზიას მეორეგან კი სამეული.

— **კობა კაკალაძეს (66 კგ) ჩემპიონობამდე ცოტა დააკლდა...**

— კარგად იჭიდავა, საკმაოდ რთულ ბადეში იყო, მაგრამ დამაჯერებლად მივიდა ფინალამდე და იქ თურქ მსოფლიოს ჩემპიონ შაჰინ რამაზანთან წააგო, არადა, მაგ ბიჭს შარშან ბალავაძის ტურნირზე აჯობა. კობამ ამჯერადაც ყველაფერი გაიღო, შემართულმა იჭიდავა, ხასიათიც გამოავლინა, მაგრამ რას ვიზამთ, სპორტია და ყველაფერი ხდება...

რაც შეეხება გელა საღირაშვილს (74კგ), ნამდვილად სუსტად გამოვიდა და ამ ეტაპზე საქებარს ვერაფერს ვიტყვი. ალბათ ის მომენტიც იყო, რომ ლიცენზია უკვე აქვს. ვნახოთ, მომდევნო ტურნირებზე რას იზამს.

რეზო მინდორაშვილისგან ლიცენზიას მართლაც ველოდით. მთელი ჩემპიონატი კარგად ჩაატარა და ფინალში გამარჯვებაც შეეძლო, თუმც საკუთარი ძალების ვერ ირწმუნა. მერე კი გამოცოცხლდა და მაგრადაც მიაწვა, მაგრამ დრო აღარ დარჩა. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ გიორგი კეტოევი ძალიან ძლიერი მოჭიდავეა და მისი დაჩაგვრა იოლი არ არის.

— **გიორგი გოგშელიძემ (96კგ) ევროპის ჩემპიონატი მოიგო და თან თავისთვის უხერხული მეტოქე, რუსი გაცალოვი დაამარცხა, რამდენად იმოქმედებს ეს მის ფსიქოლოგიურ განწყობაზე?**

— გიორგი რომ ლიცენზიას აიღებდა, ამაზე ერთი წამითაც არ ვეჭვობდით — მთავარი ის იყო, რომ ძირითად კონკურენტ გაცალოვს აჯობა. მანამდეც ყველა დაპირისპირება თავდაჯერებულად ჩაამთავრა და ფინალში უკრაინელ ფალავანს მინიმალური შანსიც არ მისცა. ეგ იყო, რომ ძალიან ნერვიულობდა, თუმც ეს დაბრკოლებაც დაძლია და ღირსეულად გაიმარჯვა.

— **დავით მოძმანაშვილის ჩემპიონობა ბევრისთვის სიურპრიზი იყო, ელოდით მისგან გამარჯვებას?**

— მართლა ვერ ვიფიქრებდი, რომ დათო ევროპის ჩემპიონი გახდებოდა. ისე, ტურნირის წინ ლერი ხაბელოვმა თქვა, ამ ბიჭს იმხელა პოტენციალი აქვს, ბოლომდე თუ გამოავლინა, პირველობა შეუძლიაო. დათომ საწყისი ჭიდაობის მერე დაამტკიცა, რომ თავის წონაში ლიდერი იყო. ფინალამდე ისე მივიდა, თითქმის ყველა ძლიერი კონკურენტი ჩამოიცილა, ფინალშიც საკუთარ ძალებში დარწმუნებული იყო. უბრალოდ, ამ დონეზე საჭიდაოდ სათანადო გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ რაც უფრო წინ მიდიოდა, რწმენა ემატებოდა და კიდევაც იჩემპიონა. ვერც ვიტყვი, რომელიმე მეტოქესთან მაგრად გაუჭირდა-მეთქი, იმდენად კარგად გამოვიდა.

— **წლების მანძილზე წარმატებულ გამოსვლებს, შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე მცირე ჩავარდნა მოჰყვა, ახლა კი ეს გამარჯვებები რას მივაწეროთ?**

— ჩვეულებრივი მომენტია. სპორტი ასეა, წარმატებებს რაღაც პერიოდში ჩავარდნა მოსდევს, თუმც ეგ არაფერი. მთავარია, რომ მთლიანობაში საკმაოდ სტაბილურები ვართ და 14 წლის მანძილზე ჩვენი ბიჭები სულ საპრიზო სამეულებში ტრიალებენ. ერთ ამბავს გავიხსენებ, ამ ევროპაზე ერთ-ერთი ბიჭი ბულგარელმა მსაჯმა დაგვიჩაგრა და მე არაფერი ვუთხარი. მერე გვერდზე რომ გავუარე, მკითხა, რატომ არ გააპროტესტეო. შეგნებულად მოვიქეცი ასე. ბულგარელმა კი, გეყოფათ, სულ თქვენ ხომ არ უნდა წაიღოთ მედლებიო. ჩვენს წარმატებებს საზღვარგარეთაც აფასებენ. ფინეთში ასე რომ გამოვედით, არც გაჰკვირვებიათ.

— **როგორია ნაკრების გეგმები, მომზადებას სად გააგრძელებთ?**

— აპრილში შვეიცარიის და პოლონეთის სალიცენზიო ტურნირებზე გამოვალთ და მერეც სხვადასხვა ტურნირებში მივიღებთ მონაწილეობას. ვფიქრობთ, რუმინეთში გამოსვლას. ასევე შეიძლება, სომხეთში, წახკაძორში მოვემზადოთ, იქ ევროპის ჩემპიონატამდე ვვარჯიშობდით და ძალიან წაგვადგა. იდეალურ პირობებში ვიყავით. ვნახოთ...

**ლექსო მაისურაძე**



გიორგი გოგშელიძემ
საქართველოს ევროპული
ოქრო მოუტანა

## მშვილდოსნობა



# ქართულმა მშვილდმა პირველი ბრინჯაო მოზიდა

**დომინიკის რესპუბლიკის** ქალაქ სანტა დომინგოში მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში მე-3 ადგილი დაიკავა. მწვრთნელებთან, თამაზ ფუტკარაძესა და თეიმურ გორგოძესთან ერთად სანტა დომინგოში მშვილდოსანი გოგონები — ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე და ასმათ დიასამიძე ჩავიდნენ. ჩვენებურებმა თავიდან კოლუმბიის ნაკრები დაამარცხეს, შემდეგ პოლონეთის ძლიერ გუნდს მოუგეს, ნახევარფინალში კი იტალიასთან ორი ქულით წააგეს. ბრინჯაოს ფინალში მავ საფრანგეთის ნაკრები დაჩაგრეს და ქართული მშვილდოსნობის ისტორიაში მსოფლიოს თასზე პირველად მოიპოვეს მედლები. დომინიკის რესპუბლიკაში ჩემპიონობა ბრიტანეთს ერგო, თუ ნაკრების წევრებს სავიზო პრობლემები არ შეექმნათ, 15-19 აპრილს მსოფლიოს თასის მე-2 ეტაპზეც გამოვლენ ხორვატიაში. მე-2 ეტაპის ჩათვლით კი მსოფლიოს თასის 3 ეტაპია მოსალევი.

**ლექსო მაისურაძე**

## კრივი

# უნგიაძემ რვიანში შვიდი გაძლო

**ინგლისის** ქალაქ ბოლტონის „ბოლტონ არენაზე“ ქართველმა პროფესიონალმა მოკრივემ გიორგი უნგიაძემ მორიგი სარეიტინგო ბრძოლა ბრიტანელ მაიკლ ჯენინგსთან გამართა და მარცხი განიცადა. ინგლისელი ქომაგებისგან გამხნევებულმა მასპინძელმა 8-რაუნდიანი ორთაბრძოლის მე-7 რაუნდში იმდენად აშკარა უპირატესობა მოიპოვა, რომ მსაჯმა ბრძოლის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. 30 წლის ბრიტანელს აქამდე მხოლოდ ერთი დაპირისპირება წაეგო, საერთოდაც, საკმაოდ გამოცდილია და ქომაგს იმედები არც ამჯერად გაუცრუა. ქართველისთვის ეს რიგით მე-6 წაგებაა, მოგებით კი 12-ჯერ გაუხარია.

**ლექსო მაისურაძე**

## მძლეოსნობა

# მარიამ ქევხიშვილმა ფლორიდა დაიმორჩილა



**ქართველმა** ბირთვის მკვრელმა მარიამ ქევხიშვილმა მორიგი საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ქართველმა მძლეოსანმა ამჯერად აშშ-ში, ფლორიდის შტატის პირველობაზე იჩემპიონა, სადაც ბირთვი 17,60 მეტრზე დასცა და მოწინააღმდეგეთა შორის საუკეთესოს მთელი 35 სანტიმეტრით აჯობა.

შეგახსენებთ, რომ მარიამი აშშ-ში ცხოვრობს, იქვე ვარჯიშობს და ამერიკაშივე დაისაკუთა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიაც. ის სისტემატურად გამოდის ბოლო პერიოდში გამართულ ტურნირებზე და რაც მთავარია, საკმაოდ სტაბილურადაც — მუდმივად მოწინავეთა შორის ტრიალებს. თუმც ეს რომ მისი მაქსიმუმი არ არის, ამას წინათ მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მაია აზარაშვილმაც განუცხადა „სარბიელს“. მისი თქმით, ქევხიშვილი საოლიმპიადოდ შედეგს კიდევ გააუმჯობესებს.

**ლექსო მაისურაძე**

## ქართული ლეგიონი



# ნიკა ცქიტიშვილის სერიალი დასრულდა?

**სეზონის** იმახიანად დამწყებ ნიკოლოზ ცქიტიშვილს სერია A-ში საქმეები აეწყნა. თუ ის თავიდან ტერამოული „სივილიას“ ძირითადი ცენტრი იყო, ახლა შემადგენლობაშიც კი ველარ ხვდება. ტერამოელებმა ამას წინათ შეიმატეს ამერიკელი ცენტრი და ქართველისთვის განაცხადში ადგილი აღარ დარჩა. სერია A-ში არაევროკავშირულ მოთამაშეებზე ლიმიტია დაწესებული და, როგორც ჩანს, „სივილიას“ მწვრთნელმა ქართველს ამერიკელი ამჯობინა. ამის გამო ნიკამ მიჯრით მეორე მატჩი გამოტოვა. ტერამოელებმა სერია A-ს მორიგ ტურში „სკავოლინის“ 95:93 სძლიეს, თუმც, როგორც ვიქვით, ცქიტიშვილი განაცხადშიც არ ყოფილა.

გასულ კვირაში არ უთამაშია მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევს“, უკრაინის ჩემპიონატში ორკვირიანი დასვენებაა და კიეველები სლოვენიაში არიან შეკრებაზე. ქვემოთ იმ ლეგიონერებზე მოგითხრობთ, რომლებმაც გასულ კვირაში ითამაშეს.

### ესტონეთი

გიორგი ცინცაძემ დაამტკიცა, რომ გაიზარდა და ძველებურად არასტაბილური მოთამაშე აღარაა. თუკი რომელიმე ქართველ ლეგიონერს ჩავარდნა არ ჰქონია ამ სეზონში, ეს, უპირველესად, ცინცაძეა. გიორგი ისეთივე წარმატებით თამაშობს ესტონურ „როკში“, როგორც მთელი სეზონის განმავლობაში ირჯებოდა — ამის ნათელი მაგალითი ამ ქვეყნის ჩემპიონატის გასული ტურის მატჩია, რომელშიც „როკმა“ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა „პირიტა“.

„როკერები“ ბოლო მეოთხედის წინ 10 ქულას აგებდნენ, მაგრამ გიორგი ცინცაძის ჩაუქობითა და გუნდური შეუპოვრობით მაინც გატეხეს მეტოქე და „პირიტას“ იქით აგემეს ათქულიანი მარცხი.

ცინცაძემ 37 წუთი ითამაშა და 22 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა. მან 5-დან 4 ორქულიანი, 2-დან 2 სამიანი და 10-დან 8 საჯარიმო ჩააგდო. ამასთან მას დაუგროვდა 4 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ქართველი მატჩში საუკეთესო გამხდარიყო.

მორიგი ორმაგი დუბლი გამოაცხო ესტონეთის ჩემპიონატში მოთამაშე მეორე ქართველმა სერგო ათუაშვილმა. მისი ტტუ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის და ქართველი ცენტრის მისვლით ცოტა მოფერიანდა. ბოლოსწინა ტურში ტტუ-მ გასვლაზე მოიგო, გასულ შებათს კი იმავეს გამეორებამდე ცოტა დააკლდა — „ფაუსტოსთან“ 67:73 წააგო.

ათუაშვილმა 37 წუთი ითამაშა და 17 ქულით მატჩის ბომბარდირი ხომ გახდა და ამასთან 13 მოხსნაც გაჩარხა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა „ფაუსტოს“ დასახმარებლად.

### ესპანეთი

ტაირონ ელისის „კახასოლი“ შინ პრიმერადივიზიონის ერთ-ერთ მოწინავე გუნდ „პამერასთან“ 80:97 დამარცხდა. გაქართველებულმა ამერიკელმა მარჯვედ კი ითამაშა, 17 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი გაჩარხა, მაგრამ საერთო საქმეს ამან ვერ უშველა. „კახასოლი“ მე-16 ადგილზე ჩამოქვეითდა და პრიმერადივიზიონიდან გავარდნის საფრთხე ისევ ემუქრება.

### საბერძნეთი

ვლადიმერ ბოისა განაგრძობს 5-ქულიან მატჩებს. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა მრავალი საამსეზონო მატჩის დარად, ახლაც 5 ქულა მოიმკა. მისმა „არისმა“ სალონიკში როდოსის „კოლოსი“ დაამარცხა, ვოვამ 20 წუთი დაყო მოედანზე და 5 ქულას 3 მოხსნა და 1 პასიც მიაბა.

### ნბა

ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ ოფიციალურად არა, მაგრამ ფაქტობრივად კი გაინაღდა პლეი ოფის საგზური. საამისოდ „ქორებმა“ დარჩენილი ოთხიდან 1 მატჩში უნდა იმარჯვონ, თუმც, ასეც რომ არ მოხდეს, მათი კონკურენტი „ინდიანა“ და „ნიუ ჯერსი“ არ არიან ყველა თამაშის მომგებნი. სამწუხარო ისაა, რომ ქართველი ცენტრის წვლილი ამ წარმატებაში არცთუ მნიშვნელოვანია. ზაზამ გასულ კვირაში სამი მატჩი ითამაშა და მთლიანობაში 21 ქულა და 13 მოხსნა დააგროვა.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

6 აპრილი

**ფინიქსი 98:105 დალასი**

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (31), დიაუ (15), ნეში (14 ქულა, 10 პასი), ონილი (13 ქულა, 13 მოხსნა)
**დალასი:** ნოვიცკი (32 ქულა, 12 მოხსნა), ჰოვარდი (24), ბასი (19)

**ნიუ ორლეანი 108:96 გ. სტეიტი**

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (25), სტოიაკოვიჩი (25), პოლი (16 ქულა, 13 პასი, 10 მოხსნა, 5 ჩაჭრა), პარგო (15)
**გოლდენ სტეიტი:** ელისი (35 ქულა, 10 მოხსნა, 4 ჩაჭრა), ბიედრინსი (17 ქულა, 15 მოხსნა), დევისი (17), ჰარინგტონი (16)

**სიეტლი 151:147 დენვერი**

ძირითადი დრო 126:126

**სიეტლი:** დურანტი (37 ქულა, 9 პასი 8 მოხსნა), გრინი (35 ქულა, 10 მოხსნა), კოლისონი (19 ქულა, 14 მოხსნა), რიდნეპი (19), უოტსონი (16 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა)
**დენვერი:** ენტონი (38 ქულა, 11 მოხსნა), აივერსონი (26 ქულა, 13 პასი), მარტინი (22), კლეიზა (17), კემბი (12 ქულა, 13 მოხსნა)

**ინდიანა 105:97 მილუოკი**

**ინდიანა:** გრეინჯერი (27), დინერი (18), დანლივი (17), ფოსტერი (16 ქულა, 15 მოხსნა)
**მილუოკი:** რედი (24), ვილანუევა (22 ქულა, 13 მოხსნა), ბოგუტი (16 ქულა, 14 მოხსნა), მეისონი (16)

**პორტლენდი 65:72 სან ანტონიო**

**პორტლენდი:** როი (18), აუთლოო (14)
**სან ანტონიო:** დანკანი (27 ქულა, 11 მოხსნა)

**მაიამი 75:91 დეტროიტი**

**მაიამი:** ბარონი (20), ქეინი (14)
**დეტროიტი:** სტაკი (19), პრინსი (14)

**მინესოტა 101:113 მემფისი**

**მინესოტა:** გომესი (19), ჯეფერსონი (18), ფოი (17), მაკკანტსი (16)
**მემფისი:** მილერი (34 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), გაი (23), უორიკი (20)

**ნიუ იორკი 100:90 ორლანდო**

**ნიუ იორკი:** ჩანდლერი (23), რენდოლფი (20 ქულა, 11 მოხსნა)
**ორლანდო:** თურქოღლუ (22), ნელსონი (19), ევანსი (16), ჰოვარდი (13 ქულა, 16 მოხსნა

**საკრამენტო 92:114 ლეიკერსი**

**საკრამენტო:** მარტინი (22), არტესტი (19)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (29), რადმანოვიჩი (21 ქულა, 14 მოხსნა), გასოლი (20), ოდომი (16 ქულა, 7 პასი, 7 მოხსნა)

**კლიპერსი 79:105 ჰიუსტონი**

**კლიპერსი:** პაუელი (22), ბრენდი (19)
**ჰიუსტონი:** ბრუქსი (18), სკოლა (16)

# ხასხასა ტეხასური

## დალასმა თავი გადაირჩინა




**2006 წელს** „დალასმა“ პლეი ოფის ფინალი წააგო „მაიამისთან“ მას შემდეგ, რაც პირველი ორი თამაში ჰქონდა მოგებული...

2007 წლის პლეი ოფში პირველ ნომრად განთესილი გავიდა, მაგრამ იქ 13-წლიანი უქმობის შემდეგ გამსხლტარ „გოლდენ სტეიტთან“ შერცხვა და გავარდა...

2008 წელს... ახლა ამ ამბიციურ გუნდს სულაც უპლეიოფოდ დარჩენის ურეალურესი საფრთხე დაემუქრა.

YAHOO.COM-ის მფლობელი მარკ კუბანის შვილობილს ბოლო წლებში ჩემპიონობა სწყუროდა და პლეი ოფში ვერმოხვედრა შიგნიდან ააფეთქებდა. ყოველი სეზონის ასე ცუდად დასრულება უიღბლობაში კი არა, უსუსურობაში ჩამოერთმეოდათ ტეხასელებს.

მაგრამ „დალასმა“ შეძლო თავის გადარჩენა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი თამაში მოიგო, პლეი ოფში მოხვედრა სათუოდ აღარ უნდა გაუხდეს. დირკ ნოვიცკის და კომპანიას დიდი თავგადასავალი გადახდათ ფინიქსში, სადაც იქაურ „სანზთან“ მთელი შეხვედრის განმავლობაში ისე აგებდნენ, ხსნა არსაიდან უჩანდათ, მაგრამ ბოლოს მაინც მოატრიალეს ჩარხი. ბებერმა ჯეისონ კიდმა შეტევაში დიდად ვერ ასარგებლა თანაგუნდელები, მისი რეპუტაციის მოთამაშისგან 8 ქულა 7 პასი გაოცებისგან პირს არავის დააღებინებს. სამაგიეროდ, კიდმა დაცვაში იჩაუქა, 4 ჩაჭრა და 4 დაფარება გააკეთა და პირდაპირ, სისხლი გაუშრო „ფინიქსის“ ლიდერ სტივ ნეშს, ვინაც 14 ქულად და 10 პასი კი გაახერხა, მაგრამ კიდის გადამკიდეს 17 ტყორცნიდან 13 გაუცუდდა.

მატჩის ფინალი ამერიკული კინოს კანონების დაცვით განვითარდა. უკანასკნელი მეოთხედი, რომ დაიწყო, „ფინიქსი“ 89:78 იგებდა და იქვე მასპინძელთა გოდოლა ცენტრმა შაკილ ონილმა ორიანით 13 ქულამდე ჩაძირა „დალასი“. მაგრამ აქ სტუმრებმა ისეთი ჯოჯოხეთური დაცვის კედელი ამოიშენეს, ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა. კიდმა გააწამა ნეში, მანამდე სამწამიანში ბობოქარი ამარე სტუდემაიერი კი საერთოდ წაიშალა მოედნიდან. „ფინიქსიც“ შეტევაში აირია და უამრავი სროლა გაატანა ქარს. დალასელები კი დირკ ნოვიცკის მეთაურობით მეთოდურად ბომბავდნენ მასპინძელთა კალათს და 8-წუთიანი მონაკვეთი 16:0 მოუგეს „ფინიქსს“. ამ ხნის განმავლობაში მასპინძლებმა მიყოლებით 12 სროლა გააფუჭეს (5 სტუდემაიერმა), ხოლო რომ გამოფხიზლდნენ და ბოლოს და ბოლოს ჩაგდება მოახერხეს, უკვე გვიან იყო, „დალასი“ წინ გასულიყო და უკან მოხედვას არ აპირებდა.

კიდევ ვიქვათ, „მავერიკსისთვის“ ეს უმნიშვნელოვანესი მოგება იყო. ტეხასელები ორი გამარჯვებით გაექცნენ მდევრებს — „დენვერსა“ და „გოლდენ სტეიტს“ და ასე გადაირჩინეს თავი. ამ ორს კი დალასელებივის რკინის ნერვები არ აღმოაჩნდათ და თავიანთი წილი მატჩების წაგება მოახერხეს. „გოლდენ სტეიტს“ ნამდვილად საპატიო მიზეზი მოეძებნება, მისი მდევარი „ნიუ ორლეანი“ გადასარევ ფორმაშია და საგიჟეთად ქვეულ დასავლეთს დამაჯერებლად ლიდერობს. აი, „დენვერმა“ კი ტუტუცურად დათმო ზედიზედ მეორე მატჩი პლეი ოფს გარეთ დარჩენილ გუნდთან — ჯერ „საკრამენტოს“ აჰუქა, ახლა კი იმდენი გულუხვობა გამოიჩინა, რომ კონფერენციის უსუსტეს გუნდსაც უწილადა გამარჯვება. დენვერელ მეგავარსკვლავებს, ალენ აივერსონსა და კარმელო ენტონის, გაგვეცინებათ და, ამ გაგანია საპლეიოფო ციებცხელებაში ცივი წყალი გადაასხეს სიეტლელმა ახალბედებმა, კევინ დურანტმა და ჯეფ გრინმა. „დენვერს“ ყველა ლოგიკით ძირითად დროში, პირველ ტაიმშიც კი უნდა მოეთავებინა საქმე, მაგრამ დაცვაში თამაში დაეზარა, „გადარბენ-გადმორბენა“ ბურთაობა აეჩა და შედეგად მიიღო 126:126 დასრულებული ძირითადი დრო, მეორე ოვერტაიმში მარცხი და კარგი პანღური.

**ივანე ქოზიაშვილი**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| *ბოსტონი* | 61 | 15 | 80,3 |
| *დეტროიტი* | 55 | 21 | 72,4 |
| *ორლანდო* | 48 | 29 | 62,3 |
| ქლივლენდი | 42 | 35 | 54,5 |
| ვაშინგტონი | 40 | 37 | 51,9 |
| ფილადელფია | 39 | 38 | 50,6 |
| ტორონტო | 38 | 39 | 49,4 |
| ატლანტა | 36 | 41 | 46,8 |
| ინდიანა | 33 | 44 | 42,9 |
| ნიუ ჯერსი | 32 | 45 | 41,6 |
| ჩიკაგო | 30 | 46 | 39,5 |
| შარლოტი | 29 | 48 | 37,7 |
| მილუოკი | 26 | 50 | 34,2 |
| ნიუ იორკი | 21 | 56 | 27,3 |
| მაიამი | 13 | 64 | 16,9 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| *ნიუ ორლეანი* | 54 | 22 | 71,1 |
| სან ანტონიო | 53 | 24 | 68,8 |
| *ლეიკერსი* | 53 | 24 | 68,8 |
| *იუტა* | 51 | 26 | 66,2 |
| ჰიუსტონი | 52 | 25 | [illegible] |
| ფინიქსი | 51 | 26 | 66,2 |
| დალასი | 48 | 28 | 62,3 |
| დენვერი | 46 | 31 | 59,7 |
| გოლდენ სტეიტი | 46 | 31 | 59,7 |
| პორტლენდი | 38 | 39 | 49,4 |
| საკრამენტო | 36 | 41 | 46,8 |
| კლიპერსი | 23 | 54 | 29,9 |
| მემფისი | 21 | 56 | 27,3 |
| მინესოტა | 19 | 57 | 25,0 |
| სიეტლი | 18 | 59 | 23,4 |

*პირველ ოთხეულში გარანტირებული აქვს ადგილი სამ დივიზიონის სამ ლიდერს (აღნიშნულია დახრილი შრიფტით); მთავრული შრიფტით გამორჩეულები გავიდნენ პლეი ოფში*

# ნადალი დაბოლოებას სწავლობს



ნიკოლაი დავიდენკო

**კაცები**
კიბისკეინი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 3 770 000 4

**ფინალი**
**ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) 6:4 6:2

**რაფაელ ნადალს** ისევ რაღაც დააკლდა გამარჯვებამდე. ამჯერად ეს რაღაც ერთი ნაბიჯილა იყო, რადგანაც ესპანელს წლეულს თავის პირველ ტიტულამდე მარტო ნიკოლაი დავიდენკოს დამარცხება სჭირდებოდა. პირინეელი მატჩის უდავო ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ პირიქით კი გამოვიდა და რუსმა მთლიანობაში ძალიან დამაჯერებლად დაჩაგრა მსოფლიოს მეორე ჩოგანი.

უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ნადალი ჰარდზე სულ უფრო სტაბილურად ჩოგნაობს, მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ის სტაბილურად ვერ ახერხებს ტურნირის მოგებას. რაფა წლეულს მაგარ საფარზე უჩვეულოდ თანაბრად თამაშობს — სეზონის სამივე დიდი ტურნირის (ავსტრალიის ღია პირველობა, ინდიან უელსისა და კიბისკეინის მასტერსები) მინიმუმ ნახევარფინალს უწია და ორჯერ ფინალშიც იყო, მაგრამ ნავსი მაინც ვერა და ვერ გატეხა და სეზონის პირველ წარმატებას ალბათ ისევ თავისთვის საყვარელ გრუნტზე იზეიმებს.

ახლა კი უშუალოდ მატჩს მივუბრუნდეთ, რომელიც საკმაოდ თანაბრად დაიწყო.— მეჩოგნეებმა მალევე გაცვალეს ბრეიკები და ინიციატივისთვის დაიწყეს ბრძოლა. თავიდან თითქოს ესპანელმა იყოჩაღა და მეტოქეს კინაღამ კიდევ ერთი მოწოდება აართვა, მაგრამ დავიდენკომ შეძლო თავის დაცვა და უკვე იქით შეუტია ესპანელს. რუსი უფრო წარმატებული გამოდგა და დაწინაურდა თუ არა, იმდენად შთამბეჭდავად ათამაშდა, რომ ამის შემდეგ ნადალი ძირითადად სტატისტის როლში იყო.

მოსკოველმა პირველი სეტი სათავისოდ დაინარჩუნა და მეორეშიც მალევე დაწინაურდა. რაფა ბევრს ეცადა, მაგრამ ცალკე თავისმა შეცდომებმა, ცალკე კი რუსის თითქმის იდეალურმა თამაშმა სიტუაციის შემობრუნების საშუალება აღარ მისცა.

შედეგად დავიდენკომ კარიერაში მასტერსის სერიის რიგით მეორე ტიტული გაინაღდა და ტურნირის 24-წლიან ისტორიაში პირველ რუსად იქცა, კიბისკეინური თაკარა მზის ქვეშ რომ უხეირია.

**კახა ლომაშვილი**

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 6600 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5930 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4785 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3175 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2570 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 2260 |
| 7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2070 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1920 |
| 9. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1875 |
| 10. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1855 |
| 11. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1585 |
| 12. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) | 1495 |
| 13. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 1490 |
| 14. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1480 |
| 15. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1445 |
| 16. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1440 |
| 17. ხუან მონაკო (არგენტინა) | 1440 |
| 18. ივო კარლოვიჩი (ხორვატია) | 1420 |
| 19. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1400 |
| 20. ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1390 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 331 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 249 |
| 3. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 191 |
| 4. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 177 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 168 |
| 6. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 160 |
| 7. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 132 |
| 8. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 122 |
| 9. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 117 |
| 10. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 111 |
| 11. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) | 109 |
| 12. მარდი ფიში (აშშ) | 107 |
| 13. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 105 |
| 14. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 98 |
| 15. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 94 |
| 16. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 86 |
| 17. ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) | 85 |
| 18. რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) | 84 |
| 19. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) | 83 |
| 20. სემ ქუერეი (აშშ) | 81 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 6105 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 4216 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4095 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3905 |
| 5. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3601 |
| 6. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2781 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2665 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2305 |
| 9. სერენა უილიამსი (აშშ) | 2297 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2257 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2198 |
| 12. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1915 |
| 13. დინარა საფინა (რუსეთი) | 1652 |
| 14. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1522 |
| 15. აგნეს სუავაი (უნგრეთი) | 1489 |
| 16. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 1458 |
| 17. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1434 |
| 18. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1260 |
| 19. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1245 |
| 20. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1192 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1675 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერბეი) | 1475 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1405 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1110 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 1025 |
| 6. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 1000 |
| 7. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 847 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 785 |
| 9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 707 |
| 10. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 691 |
| 11. ვინუს უილიამსი (აშშ) | 566 |
| 12. ნა ლი (ჩინეთი) | 565 |
| 13. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 500 |
| 14. ფლავია პენეტა (იტალია) | 496 |
| 15. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 488 |
| 16. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 471 |
| 17. შაჰარ პირი (ისრაელ) | 430 |
| 18. კაროლინ ვოზნიაკი (დანია) | 425 |
| 19. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 395 |
| 20. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 387 |



## ჩემპიონთა ლიგა. კაცები
ნახევარფინალი. პირველი მატჩები



# ევროხელბურთი გერმანიამ და ესპანეთმა გაიყვეს

**სიუდადი 34:27 ჰამბურგი**
**კილი 41:31 ბარსელონა**

**ხელბურთელთა** ჩემპიონთა ლიგის გუნდებმა ჯგუფური ტურნირის მოლევის შემდეგ მცირხნიანი შესვენება გამოაცხვეს და პირველი ნახევარფინალური დაპირისპირებებიც გამართეს. აქედანვე ვთქვათ, რომ საუკეთესო ოთხეული გერმანულ-ესპანურმა კლუბებმა შეკრეს და ეს არც არავის გაჰკვირვებია. დღეს ევროპაში ამინდს სწორედ ამ ქვეყნების კლუბები ქმნიან. თან ამ კვარტეტმა ჯგუფური ეტაპი დამაჯერებლად ჩაამთავრა და სხვებს საჩემპიონო გზის გაგრძელების შანსი მოუსპო.

„სიუდადმა" ესპანეთის მთავარქალაქში „ჰამბურგს" უმასპინძლა და 34-27 მოუგო. მადრიდელები თავიდანვე სერიოზულად მოეკიდნენ საქმეს და ტაიმის მერე 18:14-ით გაიქცნენ. სტუმართა რბევისას რუტენკამ 10 გოლი გაიტანა. მას ერთი გოლით სტეფანსონი ჩამორჩა. გერმანელებს გრიმის ექვსმა გოლმა და გილეს და ჰანსის ხუთ-ხუთმა ვერაფერი უშველავათ. ასეთ უკომპრომისო თამაშებში, სადაც ბოლო წამამდე თავგანწირვით იბრძვიან, 7-ბურთიანი ფორა ვგარიანი უპირატესობაა და ბუნდესლიგის ბინადრებს სერიოზული ოფლის ღვრა მოუწევთ ფინალში გასასვლელად. საპასუხო მატჩი 11 აპრილს ესპანეთში გაიმართება.

თუ „ჰამბურგს" შანსი კიდევ შერჩა, ეს ნაკლებად ითქმის „ბარსელონაზე". შარშანდელმა ტრიუმფატორმა „კილმა" ესპანელებს შავი დღე აყარა და 41:31 მოუგო, ანუ მთელი 10 ბურთით, რაც ფინალში გასვლის დიდი წინაპირობაა.

„კილიდან" 9 გოლით ჯიჩა გამოირჩა. მის გარდა 6 გოლი ერთნაირად ოთხმა ხელბურთელმა — ანდერსონმა, კაბატიჩმა, კლეინმა და ალიმმა გაიტანა. „ბარსას" 9 ზუსტი დარტყმით, ხარკემ ულიდერა, ამდენივე მოინაგრა ფერნანდესმა. მომდევნო შეხვედრა 13 აპრილს შედგება.

**ლევსო მაისურაძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

6 აპრილი

**დეტროიტი 4:1 ჩიკაგო**
*1:0 1:0 2:1*
1:0 ჰუდლერი (8), 2:0 ლიდსტრიომი (39), 3:0 ჰარტიგანი (47), 4:0 ლიდსტრიომი (55), 4:1 კეინი (57)

**კოლამბუსი 1:4 სენტ ლუისი**
*1:1 0:1 0:2*
1:0 პეკა (5), 1:1 ბეკესი (15), 1:2 ბოისი (34), 1:3 პერონი (51), 1:4 ტკაჩაკი (59)

**ფილადელფია 2:0 პიტსბურგი**
*0:0 1:0 1:0*
1:0 აპშელი (39) 2:0 კნუბლი (60)

**დალასი 4:2 სან ხოსე**
*0:1 3:1 1:0*
0:1 მარლო (18), 0:2 ჩიჩუ (26), 1:2 მიეტინენი (32), 2:2 ბარნსი (37), 3:2 ნორსტრიომი (40), 4:2 ოტი (59)

**კოლორადო 4:3 მინესოტა**
*0:1 1:1 2:1 0:0 (ბულიტებით 1:0)*
0:1 პერიში (18), 1:1 სშასტნი (26), 1:2 კარნი (37), 2:2 საკიკი (46), 3:2 პეიდუკი (50), 3:3 როლსტონი (57)

**ნიუ ჯერსი 3:2 რეინჯერსი**
2:0 0:1 0:1 0:0 (ბულიტები 1:0)
1:0 მედენი (5), 2:0 რაპი (13), 2:1 დრური (21), 2:2 იაგრი (45)

**ანაჰაიმი 3:2 ფინიქსი**
*0:0 0:1 2:1 0:0 (ბულიტებით 1:0)*
0:1 კარსილო (36), 2:0 კარსილო (44), 1:2 კუნიცი (53), 2:2 რაიანი (54)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კოტა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბულგარივა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქონქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 12, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge